# ცისკარი

1858

სეკტემბერი: წიგნი მეცხრე.

ტფილისი.

ქერესელიძის ტიპოგრაფია-ში.

თ. ზაქარია არღუტინსკი.
იაკობ სარქისოვი.
იუნკერი იაკობ სარქისოვი.
თ. სვიმონ ანდრონიკოვი.
158 მიხეილ კარალოვი.
ლუარსაბ მაღალოვი.
პაატა მგალობლოვი.
თ. გიორგი მაყაევი.
თ. ერასტი ჩოლაყაევი.

ზაქათალაში.

163 პლატონ ალექსიძემესხიევი. — 3 წიგნი.

დედოფლის წყარო-ზე.

164 პრაპორშჩიკი აბელოვი.

ს. პეტერბურღში.

165 დავით ყიფიანი. — 5 წიგნი.
რედაქციაში «კავკაზცი.»
რედაქციაში «საექიმო ჟურნალი.»
მათის იმპერატორობითის დი-
დებულებისა საკუთარს კანცელარიაში.
უნივერსიტეტის კანცელარიაში.
რედაქციაში «სამხედრო ჟურნალი.»
თ. ალექსანდრე შალიკოვი,
კ. ეკატერინა დადიანისა.
თ. მიხეილ ბებუთოვი.

ქუთაისში

174 გიორგი დოდობერიძე. — 15 წიგნი.

# ცისკარი

# ქართული სალიტერატურო ჟურნალი

გამოცემის ი. კერესელიძის-მიერ

ტომი მესამე.

ტფილისი

კერესელიძის ტიპოგრაფია-ში.

1858

Печатать позволяется. Августа 9 дня, 1858 года.
Испр. должн. Груз. цензора Св. Алексѣевъ.

# ბედი ქართლისა

---

## კარი პირველი

---

«მწყემსო კეთილო, შენს წმინდას სამწყსოს
შემოვავედრებ ჩემსას სამეფოს!
გულთა მხილავო! შენ უწყი რაც დღეს
საქართველოსა ჭირნი მოადგეს.
მრავალ არიან უფალო მტერნი
და წარიტაცონ შენნი ცხოვარნი!
გვესწრაფე ჩვენო კელთ-ადმპყრობელო,
რომ აღადგინო დღეს საქართველო!»
ასე ილოცვდა მეფე ირაკლი
ზანაკსა თვისსა, გულით მხურვალი.
ცათა წინაშე დიდია მსხვერპლი

მამულისათჳს მეფისა ცრემლი!
ბატონს თჳს ჯარი კრწანისის მინდვრად
დაებანაკა სპარსთან საომრად,
მუნ განრისხებულს აღამამადხანს
პატარა კახი უპირებს შებმას.
ამ დროს გამოჩნდა სამხრეთით მტერი...
ცა მოწმენდილი, ცა მშჳენიერი,
ზედ დანათლიდა ბრძოლისა ველსა
და ირაკლიცა ჯარსა ქართჳელსა
განამხნევებდა მამობრივის ხმით:
«ჰხედავთ, ვითარის კადნიერებით
შეკრბების ჩჳენზედ უსჯულოება.
საქართჳელოსა დღეს გარდუწყდება
თავისი ბედი და უბედობა!
დღეს ეჭირვება მამულს მხნეობა;
დღეს მეცა თქჳენში ვარ მეომარი
ვითა თქჳენგანი ერთი მხედარი;
დღეს გამოჩნდება ვინ არს ერთგული,
ვის უფრო გიყვარსთ ძმანო მამული!»
— შენი გამჩენის ჭირიმე, შენი,
რომ გაგვაგონე კჳლავ ხმა სალხენი! —
შებღავლა მეფეს ჯარმა ერთის ხმით,
— ჩჳენ თუნდა ერთს დღეს დავიხოცებით,
ოღონდ შენ იყავ მეფევ დღეგრძელი! —
მტერი? რა მტერი! ოდეს ქართჳელი
ბატონს ირაკლის ნუგეშად ჰყავდეს,
მისთჳს სიცოცხლეს ვინღა დაზოგავს. —
ნეტარ მეფისა გულს მამობრიულს

ოდეს მოყმენი ვით მამას შვილნი,
განუცხადებენ თავის სიყუარულს!...
    დაჰკრეს ნაღარა — გულნი შეზარა
და მტერთ საომრად ჯარნი შეჰყარა.
კმა ნაღარისა, კმა ესე ბრძოლის,
ვით არ აღგვანთებს ჯი გმირნო ქართლის!
განგვაღვიძებს მხნევ, მხდალთ განგვამხნევს
და შენც მიჯნურო სულს შეგიშფოთებს!
შეიქმნა მწარე, ძლიერი ომი:
ვითა ნადირსა მშიერი ლომი,
შეკვეთნეს სპარსთა ივერთ მხედარნი
და მტკვარს ერთვიან სისხლისა ღვარნი!
ორნივ იბრძვიან გამწარებულნი,
ორნივ ომებში გაქეზებულნი.
თამაზ ენისელთ მოურავის ძე
და იოანე კახთ აბაშიძე
განუმტკიცებენ მკლავთა ქართუელთა.
მეფის ირაკლის ღვაწლი ყოველთა
შთაუდგამს სულსა ვაჟკაცობისას,
მაინც ვერ ხედვენ ბოლოს ბრძოლისას.
რა ნახეს ქართუელთ გაჭირდა საქმე,
მყის ჩაიკვეცეს ქუდები თურმე,
ჴრმალს ჴელი იკრეს მამაპაპურად
და დაერივნენ თავისებურად.
    ბინდმან გაჰყარნა მებრძოლნი მტერნი,
გამარჯვებულნი დარჩნენ ივერნი,
მაგრამ რა მეფე ჯარსა უყურებს,
მას გამარჯვება არ-და ახარებს:

ძვირად დაუჯდა იგი ირაკლის,
მრავალთ უმაწვილთ კაცთ, ნუგეშთა ქართლის
დასდვეს აქ თავი მამულისა-თჳს;
და აწ საფლავიცა არსად არს მათთჳს,
ჰაერში განქრა მათი სახელი
და ჟამთ მოწამე სადამე ძეგლი
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა;
დუმილნი ჰფარვენ ერთგულთა ძეთა...
მაგრამ, ჵ გმირნო, ნუ შეშფოთდებით,
თქუენ სახსოვარი გუაქუს თჳთ განგებით:
რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების
საშვილის-შვილოდ გარდაიცემის:
ქართლი თქუენი ღუაწლთ, ვერ დაიდუმებს
აღამამადხანს ვიდრე ახსენებს.—
მეფემ უბრძანა თავის მოხელეთ:
«გვიჯობს რომ ახლავ ქალაქს მივიქცეთ
და ციხე ჩუენი მსწრაფლ განვამაგროთ,
თორემ სამხნითა ვერა გავაწყოთ.
აღამამადხან რა აქა გვნახავს
ხომ იცით ჯარი დიდძალი ახლავს,
და იქმნება რომ ციხეში დავხუდეთ
ჩუენის ძალისა ფიქრი მიეცეთ,
ხამს ვერაგობაც სარდარსა ჰქონდეს
დროზე იგიცა არარას წარუხუდეს.»
ყველა ეთანხმა ამაში მეფეს:
ქალაქს მიიქცნენ იმავე ღამეს
და მსწრაფლ ზღუდენი ნარიყალისა
იქმნენ საჭურველ ჯართა ქართლისა.

და შეუმცირნა სპარსთ ტკბილნი დღენი.
გათენდა დილა მზისა აღმოსვლად,
მაგრამ მნათობმან შუქისა ნაცვლად
ბნელი მოჰფინა ტფილისის არეს:
აღამამადხან მოადგა ციხეს,
სამი დღე და ღამ ადგა მას კარით,
მაგრამ ვერარა აკნო ვერ საით.—
დადონდა სპარსთა მეფე ბორგვნილი
და თურმე ყოვლით იმედ მირხდილი,
ქართლისგან წასვლას დააპირებდა,
მაგრამ იუდა ჟამს ელოდა!
აჰა მან იგი აწ მოიხელთა
და მუხთალისა ანგართა ხელთა
აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი:
მან მტერთ უმსხვერპლა თავის მოძმენი.
ჰქმნა რა ირაკლიმ ესე მუხთლობა,
მოყმეთა თვსთა ესდენ დამცრობა,
მეისვე აღენთო ხელმწიფე გული
მტერზედ ამაყად გამზადებული,
მაგრამ ცუდ იყო ყოველი ღონე:
აღამამადხან ქუდაკ თავ მოიწონე
შემოეპარა ციხისა კართა
და მოეკლინა ქართლისა ჯართა;
გაშმოთებული ეძიებდა მას,
ვინცა თერანის ტახტს ხელმწიფებას
ქართველთა შორის წაართვა მალა:
მაგრამ ირაკლიმ უკუე გაქუსლა
მთიულეთისკენ თავისი ცხენი

# კარი მეორე.

მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოჰსმახიან მთანნი ტყიანნი,
და შეუპოვრად მოუთამაშებს
გარემოს თჳსსა ატეხილს ჭალებს.
ჵი ნაპირნო არაგვის პირნო,
მობიბინენო შვებით მომზირნო,
ქართუელსა გულმან როგორ გაუძლოს
ოდეს შუენება თქუენი იხილოს.
რომ თქუენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს
რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს!
როგორ იქმნება არ განისვენოს,
სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრამს დვინოს,
თუალს მოატყუებს, ცხენს მოაშუებს
და ნამძინარევს შუბლს განიგრილებს,
ერთს ქართუელურად კიდეც შესძახებს
არაგვო მაგ შენს გამწუანებულს მთებს
და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს
იგი ამისთჳს აღარ დაღონდეს —
მზე დამავალი მოჰფენს სიამეს
მთიულეთისა ხეობის არეს
და ამ მშუენიერს არაგვის პირებს
მეწლი ჩარდახი ზედ გადმოჰყურებს.

მუნ ზრმანდებოდა მეფე ირაკლი,
მოწყენის თჳალით გადმომზირალი.
დაფიქრებული თჳსთა ზრახვათა
გაცაართობდა ქარვის მარცუალთა.
თან ახლდა მეფეს თავის მსაჯული,
ნიჭთა კეთილთა უხუად მორჭმული;
ვის არა გახსოვსთ სოლომან ქუწლი,
მეფის შინა ყმა, ყმად საყუარელი.
სადღა არიან აწ ესე კაცნი,
რომ არ გვალხენენ თათბირნი მათნი!
დიდხანს უჭვრეტდა მეფე მდუმარედ
არაგვის წყალთა, მდინთა მჩქეფარედ,
ბოლოს მაშვრალმან უბრძანა მსაჯულს:
«შენ იცნობ კარგა სოლომან ჩემს გულს:
შენ უწყი ქართლის აწ ვითარება,
მისი აწ მაღლა, კეთილ ცხოვრება.
ბევრჯელ რჩევანი შენი ვით წყლულს
მისალბუნებიან მე შეწუხებულს!
აწცა ჩემს სულის ტკივრთს, ჩემს სულის წადილს
შენ განგიმჟღავნებ ვით საყუარელს მკლდს;
არ მითჳსდება ქართუელთა გული,
რომ ვიყავ მათი მეფე ყული.
ჩემი მეფობა ზედ დავასრულე,
რომ მლოცვს იგინი გავიერთგულე
და ახლა, როდეს ჩემს ჴელმწიფობას
განუმზადებდე ჟამს კეთილობას.
აი მის ნაცვლად რაჲ მომავლენს
მე ჩემთა ძეთა! და ვინ იხარებს?

ამიერთაგან გაჭეზებული
მაჭმადხანისა მოსისხლე გული
არ დაგვაწუნარებს სიამაყითა,
იგი სარგებლობს კარგის ჟამითა.
ეს კმა ლეკთაცა აგვიყაყანებს,
ოსმალი მხოლოდ დროსა უყურებს,
და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდნენ,
როს ძენი ჩვენნი ურთიერთს ბძარკვენ.
მეც თუმც კიდევ ვგრძნობ სულის სიმტკიცეს,
გარნა დოჩენი წელთ წარმიტაცეს;
შენი ირაკლი ის აღარა ვარ,
პატარა კახად რომ გინახივარ!
ანა რომელს შვილს ვხედავ ღირსეულს,
რომ ექნას კვერთხსად მამულს დარღვეულს?
ჰოი ღმერთო! ვმადლობ შენს სამართალსა,
მგავს ღირსად შევხვდი ამა სასჯელსა!
ანა რას მარჩევ ჩემო მსაჯულო?
კარგა იფიქრე შვილო ერთგულო.
აწ განთქმულია რუსთა სახელი,
ჴელმწიფეზე უზით ბრძენი და ქველი,
დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი, სარწმუნოება.
მას მსურს რომ მივცე მემკვიდრეობა
და მან მოსცეს ქართლს კეთილ-დღეობა!...
ამის გამგონნი ჩვენნი მსაჯული
უჭვრეტდა მეფეს განცვიფრებული:
მას არ ჰსჯეროდა, რომ ირაკლის გული
ნახევდა ესრეთ ის შეშფოთებულს,

—რასა მიბრძანებ ჰკადრა მან მეფეს,
ბატონო ღმერთი გადღეგრძელებდეს.
ნუ გაგვაგონებ მაგ ხმას ქართველთა,
ესრეთ შეჰზედან მსასოებელთა.
ჯერ სამაგისო და გემართება
რომ. . . . . . . .
. . . . . . . . .
. . . . . . . . .
«ჩემო ხოლომან მეფემ უბრძანა,
მე მგ უკეთილი არჩიეცი განა?
მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლის,
და მოკავკართ უმჯობეს ამის?
მე არა ვფიქრობ, ვითარცა მეფე,
თვს დიდებისთვის სისხლთა აღმჩქეფე;
არამედ ვითა მამა კეთილი,
რომელსა სურს, რომ თავისი შვილი
თვს სიცოცხლეში დაასახლკაროს.
ძნელ არს ცხოვრება სამეფოსი, როს
უჭუჭეჭდეს ოდენ ომსა დღე დღისით!
აი ხომ ნახე აწ მაგალითი,
რა ქმნა ამ ერთმან დამარცხებამან!
კარგი რომ კიდევ აღამამადხან
ქალაქს დაჰსჯერდა განმძვინვარებული,
სხვით არ ადივსო მან სასწაული!»
ახლა კი დროა ხოლომან რომა
მშჳდობა ნახოს საქართველომა.
მან საჯარს ქუეშე, მხოლოდ რჩეულთის,
ამოუარის ჯავრი სპარსეთის

და მხოლოდ მაშინ უეჭვოდ გვწამდეს:
საფლავზედ ჩუენთა მამა-პაპათა
განცაისვენონ აჩრდილთა მათთა!»
ვედარ გაუძლო მის ჯუელსა გულმან
და მკადრა მეფეს შეშფოთებულმან:
—განზრახვა შენი მეფევ მაკვირვებს:
ერაკლიმ იცის რომე ქართუელებს
არად მიაჩნიათ უბედურება
თუ აქუსთ თავს ჭერთ ქუეშ.....!—
«სულ მართალია ჩემო სოლომონ,
მარამ ამა ჰსთქუ, ქართუელთა რა ჰყონ
ამ უბედობის და დარღვევის დროს?
ამა ერაკლიმ რა მოაგვაროს
მშვიდობისათვის საყუარელთ ყმათა?...
აი მივიღებ მე შენთ რჩევათა
და დავიდუმებ ჩემთ გულის თქმათა,
ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყუას,
რომ დღეს იქმნება, თუ ხვალ იქმნება,
ქართლსა დაიცვავს რუსთ ჴელმწიფობა!»
ასე ერაკლი და მის მსაჯული,
მამულისა-თვის გულმტკივნეული
ქართლის ბედსა განსამართლებდნენ!
ამ დროს აღმოჩნდა ბადრი მთოვარე
და სიამით მოჰფინა არე.
ცამ მოჭედილმან ვარსკვლავებითა,
მთის ჰაერმან სავსემ შვებითა
და მთუარის შუქმა არაგვის წყალთა,
თავისუფლებით ჩამოჩქრიალეთა

გულს აუშალეს დარდები ბატონს,
ოხვრა დაძართეს ვით ბატონს ლიტონს:
მას მოაგონდა დრო უმაწვილობის,
განტარებული თჳსთა კაცთ შორის,
რის ჯერ არ ეძლია ტვირთი მეფობის,
რის ჰქონდა ჟამი უზრუნველობის
და საყუარელი კახეთის გმირი
იყო ნიადაგ მტერთა გამგმირი!
დიდხანს დაჰყოფდა ბატონი ჩუმად,
დაფიქრებული მწუხარედ და ღრმად;
შემდეგ უბრძანა სოლომან მსაჯულს:
«ახლა კი დროა ჩუენს გაოხრებულს
ქალაქს ჩავხედოთ; მაგრამ ჯერ ერთი
მინდა, რომ ვნახო კიდევ კახეთი:
შევიტყო კახთა საჭიროება,
ვცნა მაზრთა მათთა აწ ვითარება;
შენკი აქედგან ქალაქში ჩადი
და დამახვედრე ჩემი სამზადი!»
დილასა ადრე მოვალს მსაჯული
ქსნის ხეობაში, დაფიქრებული.
ვიდრემდის იყო შიშიანობა,
მას აქ ესახლა თავის სახლობა.
მეფისჭაზრთაგან სულით დევნილი,
ჩზრახვიდა გულში მამულის შვილი:
«მადლობა ღმერთო შენსა განგებას!
. . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . .
იქმნება მეფე ციხის გატეხას

აზრადებს მოყმეთ მუხანათობას?
იქმნება ამან აჰყარა გული
ბატონს ქართლზედა შეურიგული?..
მაგრამ ირაკლიმ უკეთეს უწყის,
თუ ვით საყვარელ არს ქართველთ მთავრის.
მაშ რამ შეშფოთნა მის გული მყარი,
ქართველებისთვის ერთთანა მკვიდარი?
მაგრამ, ვინ იცის, იგი იქმნება
უკეთ ფიქრობდეს რაც გვეჩინება:
ბევრჯელ დიდთაურსა ზრუნვასა მეფის
გონება უმათა ვერა მიხვდების!»
ამ ფიქრში იყო მსაჯული, ოდეს
მოადგა თავის სახლისა არეს.
წინ მოეგება მას თავის ცოლი;
სათნო სოფიო, სულისა ტოლი.
ახლაც ბევრს ახსოვს მისი ზრდილობა,
მშვენიერება, გულკეთილობა.
რა დაინახა მან თავის ქმარი,
სახე შეცვლილი მონაწყენარი,
ამბავი ჰკითხა მყის ირაკლისა.
ასე საყვარელ იყო ყოვლისა.
— ვეჭობ, სოფიო, რომე ირაკლი
ქართველებზედა იყოს გულნაკლი.
ზედან ეტყობა, რომ მისი სული
ძლიერად არის აღელვებული.
მწარედ უმზირებს ბატონი დასჯას
თავის მკვლელების ამა ურჩებას:
ვეჭობ, რომ იგი სამეფოს ქართლის

ამღლევს საფარს ქუეშ რუსთა ჴელმწიფის.
მაშინ უყურე ჩუენს დედაკაცებს,
როს საციოლფრებლად დიდ კაცთა ცოლებს
პეტრეს ქალაქში გარდაასახლებენ!
მაშინ, სოფიო, რადა გინდათ თქუენ:
ჴელმწიფეს ჰპოვებთ მამად კეთილად
და დედოფალსა, დიდისა ნაცვლად;
არ მოგაკლდებათ. . . . .
განცხრომილება, ფუფუნეულება,
მათთა სიმდიდრის პალატთა შორის
ჯერ გაიგონებთ მუნ ხმასა მტერის;
მრავალთ სიამეთ იხილავთ კვალად
ბარონვანთათჳს გულ გასართობლად.
მაშინ ვიდასა მოეხურნება
ნახოს ქართლისა კულავ ამბოხება.»
—უწინამც დღე კი დამელევა მე!

. . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . .

მსაჯულს ეგონა, რომე იგი გულს
დედაკაცთაცა ჰპოვებს ცვალებულს;
და აწ რა ნახა ცოლი ამ ჰაზრით,
გარდაეხვია მას მხურვალებით...
ჰა დედანო! მარად ნეტარნო!
კურთხევა თქუენდა ტკბილ სახსოვარნო!
რა იქმნებოდა რომ ჩუენთა დედათ
სულიცა თქუენი გამოჰყოლოდათ!
ვინდა ჰყავს გულის შემატკივარი
მამულს ასული ახლა თქუენგუარი?

ქარმან. . . . . . . .

. . . . . . . . . .

რა მოახლოვდა ქალაქსა მეფე,
დიდხანს უჭკრეტდა ცრემლითა აღმჩქეფე!
ჴალატნი მისნი გადმოგრეულან,
სახლნი სამშობლო დანაცრებულან;
მიდამო ჰხედავს უპატრონობას,
აოხრებასა და ნატამლობას!
დუმილსა ჰხედავს მის არე-მარე.
მხოლოდ ბუტბუტებს მტკვარი მწუხარე,
შემრთველი მრავალთ სისხლთა ქართუჱლთა,
იგი გადარჩა მხოლოდ სპარსელთა!
აღავსო ერმან კიჳილად ტყუილისა,
რა მობრძანება ჰსცნა ირაკლისა.
ქალაქი ისევ ჩქარა აშენდა,
თუმცა ადრინდელს მრავალი აკლდა!
წარვიდენ წელნი მოსვენებისა,
და კჳლავ ირაკლიმ ჴრმალი ბრძოლისა
აიღო ლეკთა შესამუსრავად!
არც სპარსნი მორჩნენ დაუმარცხებლად!
სიბერის დროსა მოიცა მალი
და შეამრწუნა კვალად ოსმალი;
კჳლავ ასაკლა თავის საკლი;
მაგრამ ამაო იყო ყოველი:
დიდი ხანია რომ ბედი ქართლის
გადაიწყვიტა გულმან ირაკლის!

თ. ნიკოლოზ ბარათა-შვილი.

# ზ ვ მ ა

---

## ქინაქინის ანბავი.

---

(ჟანლისის თხზულებიდამ გამოკრებილი.)

საყვარელო ძმაო თეიმურაზ! შენი წიგნი მომი-ვიდა და სხვათა შორის ამასაცა მწერ, რისგან არის, რომ სადაც რა ამერიკის ანბავი ამომიკითხავს, იქაურნი ხალხი ყოველთვს ინდოელებად იხსენიება და სად ამერიკა, სად ინდოეთიო?

მე როგორც გამიგონია,-ქრისტოფორე კოლომბი დასავლეთის ოკიანეს რომ მიეცა, სხვანი აღმოსავლეთით მიდიან ინდოეთსა და აცა თუ მე დასავლეთით არ მივიდეო, იარა, იარა და ამერიკას წააწყდა.- რაც მაშინ იქ ხალხი ნახეს, ინდოელები უსენი

არიანო ჰსთქუჱს და დარჩათ მას აქეთ ეს ერთი საზოგადო საკუთრი იქაურს მეპატრონეებს და კაცეებსა თუ ინკებსა, და იმათს ქუჱშევრდომებსაცა, მეურლებს, მეხიკელებს, ნეჩეზებს, იროკელებს, სიმინოლებს, და სხუას ყველასა, ვინცა ვინ იქ იყუნენ.—ჩუჱნსას რომ ანბობენ, ყველანი ქართველები არიანო, ქართლელები, კახელები, იმერლები, გურულები, მეგრელები, სუანები, აფხაზები, თუ გინდ აჭარლებიცა, ჩუჱნ ესეც გვიკვირს ხოლმე, თუმცა შეცთომა კი მაგდენი არა არისრა, ყველანი ერთის მთამომავლობისანი მაინცა ვართ და ერთის ენით ვლაპარაკობთ. აფხაზებსა და სუანებს გარდა ლაპარაკში ზოგან და ზოგან დიდი ცულილება არის, მართალია: დიახ ბატონო, ჰო ბატონო, ქო ბატონო, კი ბატონო;—ან: აქ მო, აქ მობძანდი, აქანა მობძანდი, აქანეე მოჰრთე, აშ მორთი.-მაგრამ დედაენა კი ერთია.—ზეით დასახელებულს ამერიკელებს, როგორც ჩუჱნ სპარსულა არ გვესმის და ლეკური, ისე ერთმანეთისა არა ესმათრა; მაგრამ რაკი მეცნიერებაზედ თავდადებულმა ევროპიელებმა ერთხელ და ერთხელ ამერიკელებს ინდოელები უწოდეს, რადა გადაათქმევინებდათ. განა არა, იცოდნენ და აღიარებდნენ კიდეცა, შემცდარნი ვართო, მაგრამ მეცნიერებამ თუ ერთხელვე დაიჭირა რამე, ძნელადღა მოიკუჱთინებს. იმდენი დღეგრძელობა მე და შენა გვქონდეს, რამდენი სხუა შეცთომილებითაც ესპალებიანოთ იქ თავი ჩუჱნს ევროპიელებსა და რამდენი საწუხარი საქმე იმათ იქ მოეხდინოთ. მიგა და მიგ

კი ზოგი ერთი ისეთი საქმეც მომხდარა ღვთის წი-
ნაშე, რომ იტყჳს კაცი...

ჰმ! ბარემ ერთს ისტორიულს ანბავს გიანბობ, და ალბათ შეიტყობთ, რასაც იტყჳ.

რასაკვრველია გახსოვს, ჩემო თეიმურაზ, რომ სულ პირველად ვინც ამერიკა აღმოაჩინა და დაი-პყრა, ისპანიელები იყვნენ ისინი. კორტეზისა და პიზაროს ანბები რომ დაწვრილებით მოისმინო, ზღაპარსიტყუაობა გეგონება და იტყჳ, ნეტავი ზოგი მაინც სიცრუე იყოს და სხვა არა მინდარაო.

ისპანიელები შევიდნენ იქა მეთხუთმეტეს საუკუ-ნეში, 1492. წელსა.—და ახლა რომ ანბავს გიანბობ, ეს მოხდა მეჩვიდმეტეს საუკუნეში; ორასი წელიწადი თუა მას აქეთ.

ინდოელები,—ახლა რაღა გაგიწყობა, ჩვენც ასე უნდა ვჰსოქჳათოხოლომე,—ინდოელები ბორო-ტებით გულსავსენი იყვნენ მაშინ თავისს ახალს ბატონებზედა. მამაპაპათაგან გაგონილი მრავალი საქმე წარმოუდგებოდათ თვალწინ ისპანიელების უღ-თოობისა და უზომო მტარვალობისა. ეშინებოდნენ მართალია, და დამორჩილებულნი კი არა ყოფილან.- არ ვიცი ამ ჰაზრს შენც ასე გაჰყოფ თუ არა: ისპანიელებმა რომ იარაღით დაიპყრეს ის ქვეყანა, ხალხიც იარაღისავე შიშით დაიმონეს და არა იმ უფლების სიმართლითა, რომელსაც ნებით ემორჩი-ლება ხალხი. ეშინებოდნენ მეთქი, ამ მიზეზით

განჩობ.—

პერუს დედა ქალაქს ლიმაში გამგზავრებულად და ბრძანებულად იყვნა მაშინ ვიცეროი (კოროლის მოადგილე), კაცი ისეთი ბოროტი და უწყალო, რომ რაც იმისს წინა მოადგილეებს სიძულილი ჰქონდათ ხალხში დათესილი, ამან ერთი ორად გადააჭარბა, თუდა გადაჭარბება შეიძლებოდა.—მინისტრად ჰყავდა ამ ვიცეროის სეკრეტარი. უარესად შეუბრალებელი, მკაცრი, ანგაარი, მოქრთამე უძღები. ინდოელებს ბატონზედ ამისაგან უფრო ჰქონდათ თავი მობეზრებული.—ერთს კარგს საღამოს გადაბრუნდა ეს შენი სეკრეტარი და ხმის ამოღება აღარ დასცალდებია ისე შენი ჭირი წაიღო.—გამოვარდა ხმა ინდოელებმა მოწამლესო.

დიდის სიმკაცრით შეუდგნენ გამოძიებასა; და როგორც ჩუენშიაც მომხდარა, შენს მტერს ნურა აღმოუჩენიარა, რომ მომწამლავი ვერ აღმოაჩინეს.

ახლა ამაზედ შეჰსდგა დრტვინვა და ყაყანი ისპანიელებში, რადგან ეს მაგალითი პირველი არ იყო და არცა ვის იმედი ჰქონდა, რომ უკანასკნელი ყოფილიყო, ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ინდოელებმა იციდნენ საწამლავები; ბევრჯელ კიდეც დაუმტკიცეს, კიდეც გამოსტეხეს, და წამლის სახელი კი მაინც ვერას ღონისძიებით ვერ ათქმევინეს და ვერცა რა საწამლავი გამოაჩენინეს.

ამასობაში ვიცეროიც გამოიცვალა და იმისს ადგილს გაწესდა გრაფი ვინმე, გვარად სინჩონ, ახოვანი, ზრდილი, ლმობიერი, ყოვლის სიკეთით

შემკობილი და ამასთან ახალი ნაქორწინევი. ის იყო ცოლად შეერთო მშვენიერი ყმაწვილი ქალი, ისაც გულის ლმობიერებით, ზრდილობით და სიმშვიდით თითქმის უმაგალითო და ისეთის სიყვარულიანის გულის მქონი, რომ ქმარი სწორეთ თავს ურჩევნა.-

— ჩემო სიცოცხლევ, თან რომ არ წამოგყვე არ შეიძლებაო, ეუბნებოდა გრაფსა.—

— ჩემო ნეტარებაო, ღმერთმან ხომ იცის დიდად მიმძიმს შენი მოშორება, მაგრამ რამდენსამე ხანს აქ უნდა დარჩე. მანამდისინ იქაურს საქმეებს გა— ვირიგებდე და დავაწყობდეო, ეუბნებოდა ქმარი გრაფინას.

გაგონილი რომ ჰქონდა ინდოელების ამბავი, იმათი დაუმანებელი მტერობა და სიძულილი ისპანიელებისა, ცალკე ქმარი იშიშვდა, ამ ჩემს ცოლს ბოროტება არა შეემთხვოსო; ცალკე ცოლი აშინებდა, მარტო როგორ გაუშვა ჩემი გრაფი იმ ქვეყანაში, სადაც ხვაშიადი შეუქმდება და შეირისხება მარადღდე და მარად წამს-უნდა გეუქერიდეს და გარს ეხვეწოდესო.

რაც რამ უკანასკნელი ამბები იქიდამ ისმოდა, ზოგი გაზრცელებული, ზოგი უფრო შესაზარად გადათქმულ-გადმოთქმული, აქ უსათუოთ ასე უნდა ეფიქრებინათ, რომ ინდოელები არიან მონანი ბოროტნი, გამომეტყველობით მორჩილნი და ერთგულნი, ნამდვილად კი ყოველთვის გამზადებულნი ჩუმს დალატაკებად და ქურდულს კაცკვლაზედ. — ამბობდნენ, საოცარი რამ და გონება მიუწდომელი წამ-

ლები იციან იმ ქვეყანაშიო.—

რამდენიც ამისთანა საზარელი ანბავი ესმა გრაფინას, იმდენი უფრო გადიწყვიტა, უსაცილოდ თან უნდა წაჰყვეს ჩემს ქმარსა და უფრო უგდო ისეთის მდუმარებითა და გაფთხილებითა, როგორიცა ტრფიალსა და ერთგულს მეუღლეს ჭაროებსო.—

არა ჭკვანებია ჩუენს კატინასიო, შენც იტყვ.

ამნაირი გარდაწყუეტილება, მეტადრე ამისთანას ტრფიალსა გულში ჩასამქრენს ცოლიკასა, მოდი და შენ მოაშლევინე, თუ გიყვარდე.—

სხვა ისპანიელს ქალებს გარდა, რომელიც ლომაშა უნდა წაეყვანა გრაფინას, ერთი თან შეზრდილი და გულითადი მეგობარი იყო იმისი, სახელად ბეატრისა.—ცოტათი რითიმე თუ იყო ბეატრისა გრაფინაზედ ხნით უფროსი, თორემ როგორც ის გრაფინას დასტრფოდა და ეალერსებოდა, მშობელი დედა თუ არის იმისიო, იტყოდნენ. დიდად ეცადა ბეატრისა, მრავალს ეხვეწა. მრავალს ევედრა, რომ განზრახვა მოეშლევინებინა გრაფინასათვის ამერიკაში წასვლისა, და რომ ვერა გააწყორა,—მაშ მეც უნდა გამოგყვე, შენი მოშორება არ შემიძლიაო, და გაჰყვა თანა.

დიდი სიხარულიც კი შეუდგათ ინდოელებს ვიცეროის გამოცვლა რომ შეიტყვეს; და არც მაგდენათ გული ახალს ბატონზედ შეიცვალეს. ეგეც ისპანიელიაო, ეგეც ისე უსამართლო, ანგაარი და მტარვალი, როგორც სხვანი ყოფილანო. რომ ესმოდათ, ტკბილის ხასიათისა არისო, კაცთმოყვარე და მართლ-

მსაჯულითო, ისინი ანბობდნენ, — მაინც ისპანიელთათ; და ამის რაკი იტყოდნენ, სწორედ რაც უკიდურესს სიმძულილს შეეფერება, ისა ვჰთქვთო, ეგონათ. იმათი მძჳნვარე მგრძნობარება ჯერ არ იყო დამშჳდებული სარწმუნოებითა; — არცა ვინა ჰზრუნავდა მაშინ, რომ ეცნობებინათ საღმრთო ზნეობა ქრისტიანული; ზოგი ერთის წესის აღსრულებას ასწავლიდნენ, მართალია; და ისევ თავისს წარმართობაზედ და კერპთ თაყუანის-ცემაზედა ჰსდგანან, თუ აღარა, ამას კი ყურს არა-ვინ უგდებდა.

ის ქუეყანა რომ ევროპიელებმა დაიპყრეს, თუალი, ოქრო და სხუა ამ ნაირი საუნჯე ხალხმა იმათ მიანება და სხუაკი, რაც კაცობრიობი-სათჳს უფრო გამოსადეგი გააჩნდათ რამე, ისკი ასე დაუკრძალეს, რომ ევროპიელებს მეჩჳც არა აადგ-ბინეს რა. — თვალის მიმტაცებული სიმდიდრე იმათ და მართლად სახარებელთ ჩუწრათ. —

ინდოელებმა კარგად იცოდნენ, რაც ღთისაგან განაჩენი იპოვებოდა იმათის ქუეყანაში გესლის გამ-ქარვებელი, თუ სასწაულებრ გამკურნავი უმძიმესის სენისა და ავათმყოფობისა. იმათ გარდა სხუამ არა ხორციელმა კაცმა არიცოდა, რა სულზედ მისწრე-ბითი თჳსება ჰქონდა ქერქსა ერთის ხისას, რომე-ლსაც ეწოდებოდა ქინქინა, ანუ ქინაქინა, და ინდო-ელები საშინელის ფიცით იყვნენ შეკრულნი, რომ არა ევროპიელისათჳს არ გაეცათ ეს საიდუმლო, რაც უნდა განსაცდელი მისდგომოდათ.

მამიმედ იყვნენ დამონებულნი, მაგრამ თავისა შინაური გამგებლობაცკი ჰქონდათ რადაცა სა-

ბრალო ინდოელებსა. უფროსი კაცები სუავდათ ამორ-ჩეულნი და ამათში მირჩეულს უფროსს ნება ჰქონდა, რომ, როდესაც საჭიროდ არჩევდა, ხალხი შეეკრიბა ბნელს ღამეში და უცნაურს სადმე ადგილს; ხან შე-თქმასა და ფიცს განაახლებინებდა, ხან სასიკუდი-ლოდ ევროპიელს დაუსაკლებდა ვისმე და შენს მტერს წუდარა ჭშველებია რა, როგორც აქ დასა-კლებულს არარა ეშველებოდარა ხოლმე.—ამ ნა-ირს კრებას რომ დაჭკლებიყო ვინმე, თუ არ მდე-ბნარე ან უასაკო, ყოვლად შეუძლებელი იყო, ვინც სოფლად მცხოვრები ყოფილიყო,—ვინც ვიცეროჲს სასახლის მოხელე ვინმე, ან სახასომუშად გაუვანი-ლი. ასეთს უდაბურს რასმე ადგილს შეიკრიბებოდნენ რომ არათუ წუჰდიადს ღამეში, დღისითაც იმათი მიგნება ვერა ევროპიელს ვერ მოეხერხებინა.

ამ დროს იმათში მირჩეული უფროსი კაცი იყო ხიმეო.

თუმცა ბუნებით კეთილი კაცი იყო ხიმეო და სულგრძელების თვისებისა, მაგრამ სხვა და სხვა უბედურებისაგან და ევროპიელების უსამართლოები-საგან აღშფოთებული ჰქონდა გული და დახშული ყოვლის ლმობიერის გრძნობისათჳს. დღითი-დღე გულის წყრომა გულისწყრომაზედ ემატებოდა ხი-მეოს, ასე რომ ბოლოს დროს სულ გაბარბარო-სებული იყო და სიბრალულისა არარა ესმოდარა. ესეც კი უნდა ვსთქვათ, სულმოკლეობასა და საწა-მლავის შეზარებას ასე ერიდებოდა ხოლმე, რომ ამგვარი შურისგების იარაღი არცა სად თჳთან

მოუხმარებისა და არცარაჲსთჳს ნება დაურთავს.

ხიმეოსა ჰყავდა ერთი შვილი, საკჳლად განმარ, დიდად საყუარელი მამისა და სამის წლის ნაქორწინები ზჳმაზედ. ზჳმა იყო ლიმელი ქალი და არც იმ ქალაქში, არც იმ არემარეზედ ინდოელებში იმის უმშუენიერესი არავინ იპოვებოდა. ერთი ორის წლის უკან ამათაცა ჰყავდად, რომელსაცა დასტრფოდნენ და დაჰხაროდნენ. ერთის სიტყჳთ, იმათს მირუტყულს მონებაში ყოფნას რომ დავივიწყებდეთ, ჰსწორედ ბედნიერება ჰსუფევდა ხიმეოს სახლში: ზჳმა მიაჩნდა მამამთილს სასიქადულო სძლად, ქმარს ნამდვილ ბედნიერებად, ინდოელებს სამაგალითო ქალად და თჳთან ყოველი თავისი სიცოცხლე და სიხარული დამყარებული ჰქონდა ქმრისა და შვილის სიყუარულზედ და მოხუცებულის მამამთილის პატივისცემაზედ. —

ხიმეოს მომდევნო მეორე უფროსი კაცი იყო აზან, ინდოელებში სხუაზედ ყველაზედ უმდიდრესი. იმისს მხეცურს მძჳნვარებასა და სიმმაფრეს ვერა ქუეყნიერი სათნოება ვერა ამშჳდებდარა და აღსავსე იყო მარად უხომო გულის წყრომითა. როგორც ხიმეო, ისე აზან, ორნივე ანმობდნენ, ბრწყინვალეს შთამომავლობისანი გვარით და მართლად, სხუანიც იტყოდნენ, ინკათ გვარისანი არიანო. ინკა როგორც მოგეხსენება, წოდება იყო უწინდელის პერუს კელმწიფეებისა. —

ახალის ვიცეროჲს მოსვლის წინადღეებში, ხიმეომ ერთს შუადამეს შეჰკრიბა ხალხი სიმრთელის ხის

სეფზედა. სიმრთელის ხე ჰრქჳა ქინაქინის ხეს.—

ყველანი რომ შეიყარნენ: «ძმებო და მეგობრე-ბო,—მოუყვა ხიმეო,— ახლა სხჳა მტარვალმა უნდა იბატონოს ჩუენზედა; დღეს ან ხვალ მოვა კიდეც და ჩუენი ადგილები უნდა განვაშოროთ. თუ არ ღამის სიბნელეში და თუ არ ამისთანას უდაბურს ადგილს ხომ მაინც ვერსად წამოგვჰსთქუამთ. ვაჲ ჩუენი ბრალი! მზის უბედური შჳლები (*) თავს ვერსად გამოვჰყოთ, თუ ღამის სიწყუდიადეში არ გავეხვენით.—განვაშოროთ, ძმებო, ჩუენი ტყეცა და ადგომა ამ სიმრთელის ხის იმრგჳლივა, რომ რაც საიდუმლო ჩუენა გვაქუს, სამარადისოდ და-ცული გვქონდეს.»

—განვაშოროთ, განვაშოროთ, ხმა ჰყო ხალხმა.

მაშინ წამოდგა ხიმეო, ხალხი გარს შემოიყენა და მაღლის ხმით ჰსთქუა და სხუათაც ათქმევინა შე-მდეგომი ფიცი:

«ვფიცავთ სამარადისოდ დაუმალოთ შჳლთა ევრო-პიისათა ზეციერი ნიჭი საღმრთოსა ხისა ამის, და უკანასკნელი ესე სიკუდე ჩუენი, რაცადა დაგვრჩე-ნის მამაპაპათაგან. ვაჲ იმ ორგულს და ფიცის გამ-ცემსა, გინც შეცთომითა, თუ შიშითა, თუ სიბრა-ლულითა, ან სხუა რითაც უნდა იყოს მიზეზითა, ამ ჩუენს საიდუმლოს გასცემს და აცნობებს ევროპიე-ლებსა. რომელთაცა ჰსჯული დაგვირღვეს, ჴელმწი-

(*) ინკები, ანუ პერუს ჴელმწიფეები ამბობდნენ, მზის შჳლები ვართო.

ფეჰა მოგვიშალეს, ქუეყანა აგვიოხრეს და ჩუენ უძლები უღელი დაგვ'დეს! ვაჲ იმ სულმოკლესა, ვინც ამ ჩუენს სიმრთელის საუნჯეს მიანიჭებს ვისმე ჩუენთ დამმონებელთაგანსა და დაივიწყებს, რომ იმათმა მამაპაპებმა ტაძრები დაგვინგრიეს, ქალაქები გადაგვიწვეს, სოფლები და მიწაყანები გაგვიოჴრანავეს, გვიწამეს მამაპაპები უმაგალითო წამებითა, იმათი სისხლით მორწყეს ქუეყანა ჩუენი და ოჯახობა შეგვიგინეს... თვალი და ოქრო რაც წაგვართვეს, წაგვართვე'ს; ეს ერთი ნიჭი მაინც ჩუენთვის შევინახოთ... თუ ჩუენში მოღალატე გამოჩნდა ვინმე, ვჰფიცავთ იმისს ძირიანათ ამოფხურასა, გინდ მამა იყოს ჩუენი, გინდ ძმა და გინდ შვილი; თუ ცოლშვილის პატრონი იქნა ვინმე, ვჰფიცავთ იმის ცოლშვილისაც გაწყუეტასა და სახლის გაცივებასა, თუ თჳთ იმ ცოლმა ან შვილებმა არ გამოგვიცხადეს იმისი ღალატი; და თუ შვილები ძუძუწოვარნი არიან, ვჰფიცავთ იმათს გაჟლეტასა, რომ საუკუნოდ ამოვარდეს ჩუენში სახსენებელიცა ჩუენის მოღალატისა. — ძმებო და მეგობრებო, სულითა და გულით წამოჰსთქვით თქუენცა ფიცითი აღთქმა ეს, წინაპართა ჩუენთაგან დაწესებული და ჩუენგანცა აქ რაოდენჯერმე თქმული.»

— ვჰფიცავთ, ვჰფიცავთ, — დაიძახა ხალხმა, — ვჰფიცავთ ამ აღთქმის აღსრულებასა, ვინცა ვინ იყოს ამ ჩუენის საიდუმლოს გამცემი; ვჰფიცავთ ამ საიდუმლოს დაცუასა შეურყეველად, რაც უნდა ტანჯუა და სასიკუდილო წამება მოგვადგეს. —

— გახსოვდეთ, ჰსთქუა ახლა მხეცთ-მსგავსმა აზანმა, გახსოვდეთ, რომ ჩუჱნის დამონების შირკელს დროებშიაცა ჩუჱნი მამაპაპები ათასობით იტანჯებოდნენ და იხოცებოდნენ, თავი სიკუჱდილისაგან კი არავის დაუხსნია ამ საიდუმლოს გაცემითა და არც ამ ორასს წელიწადში გაცემულა ვისგანმე; და თუ ახლა აღმოჩნდა ვინმე ჩუჱნში გამცემი, გჳფიცავ ამ ჩემის ქულით დავჰკლა და თუ ცოლი ჰყავს ან შვილი მუმუმწოვარი, ამავე ქულით გავჰწყვიტო ყველანი.» —

ეს აზანის დამუქრება უსაგნო არ იყო. განმირი ჰსმულდა, ხიმეოს შვილი, არათუ იმისთვს, რომ ისპანიელების სიძულილი სხუაზედ ნაკლებათა ჰქონიყო, იმისთჳს უფრო, რომ შეჰშურდა, რათ არის ისეთი ბედნიერი, რომ ცოლად მშუჱნიერი ზჳმა ჰყავსო და იმასთან შვილი სასიხარულოო. —

შური ყოველთჳს ბოროტებაა და ბოროტებას ყოველთჳს უსამართლოება, თუ დაიჯერება. —

«ჰეჲ აზან! უთხრა განმირმა! შეიძლება ფიცის ერთგულიც იყოს კაცი და არც მხეცობა იქონიოს. შენი მუქარა ვერცარავის შეაშინებს და არცარავის გამოადგება, ვინ არ იცის, რომ თუ სისხლი გწყურია, შენ არც ბრალიანს დაუწყებ ძებნასა და არც უბრალოს!...

განრისხებულმა აზანმა რომ პასუხი დაუპირა, ხიმეომ შეაჩუო მაშინვე და — არც დრო არის, არც რიგი ამ გვარის ლაპარაკისაო; რადგან ფიცი გათავებული იყო; კრებაც დაჰშალა და ყველანი

თავ-თავისად წავიდ-წამოვიდნენ. —

არას მიგვიხდნენო, ინდოელები ისპანიელებს მიწაში ყოვლისთჳს მორჩილებითა და მატყვისცემით ექცეოდნენ.

ამ მიზეზითა ახალის ვიცეროისა და იმის მეუღლის მისაგებებლად ლიმას გარეთ იქაური დარჩეული ყმაწვილი ქალების ჯარი დაამწკრიეს; ყველანი სადღესასწაულოდ მორთულნი იყვნენ და საფიანდაზედ ველში მშუენიერი ყვავილები ეჭირათ. ზჳმაც რასაკჳრველია იმათში იყო. — რომ მიეგებნენ, გრაფინამ თვალი მოჰკრა ზჳმას და შეაჩერდა. იმისი სიკეკლუცე და განსხუაგებული, ევროპიელისათჳს უცხო რაღაც რამ მშუენიერება ასე მოეწონა, რომ ეს თუ არ დავიახლოვე არ იქნებაო. და რაკი ეს სურვილი შეატყვეს, სხუა იქაურს მოსამსახურეთაშორის ზჳმაც მიუახლოვეს სახლეს. ცოტას ხანში ასე შეიყუარა და შეიტკბო ზჳმა გრაფინამ, რომ თავისს საკუთარს ოთახში შეაყვანინა და ყველაზედ უმეტესად დაიახლოვა, თითქმის გაიმეგობრა. —

ბეატრისას კი არაფრად ეპიტნავა ამისთანა დაახლოვება ზჳმასი. რაც რამ ანბავი მოაგონდებოდა ინდოელების სიმუხთლისა და ღალატისა, უფრო მომეტს ეჭჳებში შედიოდა, ამან ჩემს გრაფინას არა ავუტეხოსრაო. — სხუა ევროპიელმა ქალებმა რომ ეს ეჭჳ ბეატრისას შეამჩნიეს, თჳთან მეტად გულდამწუხრები იყვნენ და რასაკჳრველია ეჭჳსრი დაუკრეს როგორც შეეძლოთ. — ისე დღე არ გავიდოდა, რომ ზჳმაზედ ენა არა მიეტანათრა ბეატრი-

სასთან: ბოროტებით სავსეც ის იყო, მცბიერებითაც, მატყუისმოყვარებითაც, გამომჩუენებლობითაცა. — ამ ასეთსა და ამ ისეთსა არათუ გრაფინა არ უყუარს, ისპანიელები უგულანი ისე გულამოდებით ჰსძულან, რომ თუ დრო ივლთა სასიკუდილოთაც არავის დაინდობსო. —

ამნაირს ცილის წამებას მრავალი კიდევ ისეთი რამ დაჰმატეს, გითამ ზჳმას ნალაპარაკევი, რომ იმისს ბოროტებაზედ ეჭჳ არარა უნდა ყოფილიყორა, — ბეატრისა გონიერი და განათლებული ქალი იყო და ზჳმასაგან ნალაპარაკევათ მიტანილი არა ჰსჯეროდა რა; გულში კი მაინც ჯერ საწუხრათა ჰქონდა ზჳმას დაახლოვება გრაფინასთან და მერე რომ შეატყო, დაშორება აღარ შეიძლება და თან და თან გრაფინაც უფრო ესარჩლებაო, — ისე შეუშფოთდა გული, რომ რაც უნდა უცნაური რამ მოეგონებინათ, ახლა ყოველსავე ადვილად დაუჯერებდა ყურსა. —

ზჳმამ კი მართლად ისე დაუახლოვა გული თავისს ქალბატონსა, ისე მიეთჳსა და გაუერთგულდა, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა; სხუებმა არ იწყინონო ჩემი დაახლოვებაო, ასე მორიდებით კი იყო, რომ იჯდა შეკეტილი ოთახში და მანამდისინ არ დაუძახებდნენ, გარეთ არ გამოდიოდა. —

ამასობაში გრაფი სინჩონ თუმცა დიდათ ცდილობდა ინდოელების გულის მოგებას; ისინი მაინც ამას ანბობდნენ: პირველში უგულანი აგრე იქცეოდნენ, რომ პირუთნებელი მართლმსაჯულება ეჩუენებინათ ხალხისათჳს, კაცთმოყვარება, ზრდილობა და

ღმობიერებას; და ბოლოს კი უგულანი გადაგვიბრუნ-დებოდნენ ხოლმე. — ამ მიზეზით ახალის კიცეროჲს მეცადინეობას მადლი არა ჰქონდა: ან გვატყუებს და ან ჟეცარის სიკუდილისა ეშინია, სეკრეტარის ანბავი რომ გაუგონია, და ჩუენს გულისმოგებას იმიტომა ცდილობსო.

გამოვიდა ოთხი თჳე, რომ გრაფინა ლიზას იმყოფებოდა და არ იყო, რომ ცოტა რადაც სიმ-რთელის მოშლა დაეტყო. ჯერა სთქუეს აქაურის არდადეგების მიზეზიაო; მერე უმდუბლობა რომ უფრო და უფრო მოემატა, ფიქრში შევიდნენ; ბოლოს ჭლექური სამდღიური დამპალი ციება გამოაჩნდა და ლოგინათ ჩააგდო.

რაც რამ მაშინდელს ევროპიულს მკურნალობას ციების წამალი ეგულებოდა, ყოველივე მოიხმა-რეს, და ავათმყოფს შუელა არა მიეცარა.

ბეატრისას მწუხარებას საზღვარი აღარა ჰქონდა. ერთხელ მკურნალი გაიხმო და გამოკითხვა დაუწყო. ისიც დიდის საიდუმლოებით გამოუტყდა, გრაფინას ავათმყოფობა რადაც რამ უცნაურის მიზეზით არისო, რომ იმისი შეტყობა და განკურნვა ჴერავის მოეგი-ხერხებინაო. —

ამგვარმა უიმედო მკურნალის აღსარებამ ბეატ-რისას აუცილებელად ეს აფიქრებინა, რომ გრაფინა სწორეთ მოწამლული არისო. იქიდამ მოკიდებული ბეატრისას ერთი წუთი მოსუენება აღარა ჰქონია. რა საკჳრველია, არათუ გრაფინას, ჯერ გრაფსაც ვერა გაუმხილარა; ორს ქალთან კი დაუფარავი

დაპარაკი ჰქონდა, რომელნიც სხუაზედ უფრო და-ახლოვებულნი იყვნენ გრაფინასთან.

სამთავე ჯერ გული ამაზედ დააჯერეს, სწორეთ მოწამლული არისო. მერე ჰრჩევას შეუდგნენ, ვინ გაჰბედავდა ამ უღთოობასაო, თითქო უწინ არავინ დაესაკელებინოთ, მალევე ჰსთქუეს:

— სხუა ვინ, თუ არ ზჳმაო, ზჳმა, რომელსაც ყოველთჳს თავისუფალი შესვლა-გასვლა ჰქონდა გრაფინასთან. ესეც კი, რომ გრაფინასაგან ყოველის სიკეთით აღვსილი, გაკეთებული, გაბედნიერებული და გულით საყვარელი, როგორ გაჰბედავდა ზჳმა ამ საქმესაო?

ამნაირის ფიქრის პასუხისმგებელად ყოველთჳს გულითადი სიძულილი წარმოუდგენოდა ხოლმე ბეატრისას ზჳმასი.— ზჳმა პირმოთნე, ზჳმა პატივის-მოუყვარე, ზჳმა გამომჩენი და ვინ იცის, უარესად იქნება გრაფის არშიყიცა; ზჳმა ინდოელი და დღეს მუმუოიკე შერჩეული ყოველს მოუფიქრებელს ბო-როტებასა და კაცკვლასა;— სხუა ვინ იქმოდა ამას, თუ არ ეს კრული ზჳმაო,— ასე ეჩიჩინებოდა თავი-სი საკუთარი ფიქრი მწუხარეს ბეატრისას.

რამდენსამე დღეს მაინც კიდევა ცდილობდა ბეატრისა ამ ფიქრების თავიდამ მოშორებასა. იმისი საყვარელი გრაფინა კი ამასობაში უფრო და უფრო ილევოდა და ჰქრებოდა.— იმისი მაყურებელი როჲო-რდა შევიდოდა ბეატრისა გულდამშჳდებით საქმის განხილვაში; ან როგორღა შესძლებდა, რომ თუ თუალით არ ენახა, არ დაეჯერებინა, რასაც ზჳმაზედ

ეჩურჩულებოდნენ და რასაც თჳთანა ჰფიქრობდა.— «როგორ შეიძლება, რომ ჩემი გულიც შემცთარი იყოს და სხუანიც ასეთს საშინელს ცილსა ჰსწამებდნენ ამ დედაკაცსაო.»—აგრეთ არ იყო ბეატრისა მართალია, და არც ნაკლებად იტანჯებოდა ამ ფიქრებისაგან.

გრაფიც რა საკჳრველია მალიან დაღონებული იყო,—თუმცა ამ ეჭჳვბისა არა იცოდარა; თავისს სატრფოს მეუღლეს რომ იმ მდგომარეობაში ჰხედავდა, სულ გული უკჳდებოდა უზომო მწუხარებითა.— ერთხელ ცოტა რამ უკეთყოფნა შეატყო გრაფინას. დიდი სიხარული შეუდგათ სასახლეში.— ახლა მკურნალი ამბობდა, სრული იმედი მაქუს მორჩენისაო.—ეჭჳუბი დაჰსცხრნენ და ბეატრისამაც სული მოიბრუნა. რაც იმას წინეთ საიდუმლოთ გარიგება მოუხდინა, რომ ზჳმასათჳს ედარაჯებინათ და გრაფინას საწოლში მარტო ადარასვზით არ შეეშვათ, ის კი დაავიწყდა, თუ როგორ მოხდა, არა მოიშალარა.

ახლა საბრალო ზჳმასაც მივჰხედოთ.

გრაფინას ავათმყოფობას, უეჭჳელია, ისე არავინა ჰსწუხდა, როგორც ზჳმა. როგორც რომ უმანკო გულით და წრფელის სულით ერთგულებს და საყვარელი შეიძლება, ისეთი ერთგულება და საყვარელი ჰქონდა გრაფინასი; ამასთან იცოდა რითაც შეიძლებოდა მორჩენა. იმისი და მორჩენა კი არ შეეძლო. ზჳმა სხუათა შორის ეწია იმ ფიცში, რომლითაც ინდოელები შეკრულნი იყვნენ და

რომელიც უკანასკნელად სიმჴრთელის ხეს ქუეშ გან-მეორებით იფიცეს. ამ ფიცის გატეხა მარტო იმას რომ გარდაჰხედოდა, კიდევ არას ინაღვლიდა; იმისი ქმარიც უსაცილოდ სიკუდილით უნდა დასჯილიყო და პაწაწა შვილიცა. ზჳმა რომ სასახლეში შეიყვანეს და გრაფინას ავათმყოფობის ხმა გამოვიდა, — ამ ჩუმმა ხმალმა საიდუმლო არ გაგვიცესო, აიყვანა ხიმეომ თავისი შვილის შვილი და თამარს მიაბარა, მესამე უფროსს კაცსა. ეს თამარი თუ ისეთი მხეცი არ იყო, როგორც აჩან, — არც ნაკლები მტერი იყო ისპანი-ელებისა. ზჳმამ ეს ყოველივე რომ კარგათ იცოდა, თავისი გულის პასუხი განძარსაც ვედარ ანდო. იჯდა საწყალი თავისს ოთახში და ცხარის ცრემლითა ჰსტიროდა. — გრაფინამ მოიხედათ, რომა ჰსთქუეს, არცარაფერი იმედი ამით მიეცა ზჳმას, რადგან კარგად იცოდა თჳსება იმის ავათმყოფობისა, რომ უწამლელად არა ეშველებოდარა. —

მართლადაც, ისევ შეუბრუნდა ის საშინელი ციე-ბება გრაფინასა. მკურნალმა ახლა გადასთქუა თავი-სი იმედი და მოსარჩენი საშუალობა, აღარა ვიცითო-რაო, დაუფარავად ანბობდა. მთელი ლიმას სასახლე თავზარდაცემული იყო და შიშისაგან დადუმებული. — გრაფისა და ჩეატრისას საცოდაობა გულს უკლავდა ყოველს კაცსა.

გრაფინამ იცოდა, რომ მალიან ცუდათ იყო იმისი საქმე; მაინც ყველაზედ უფრო მხნეთა და გულმო-წყალეთ ის იყო.

სიცოცხლეს ადჳლად დასთმობს, რაგინდ ბედ-

ნიერი ცხოვრება მქონდეს, ვისაც გრაფინასავე განწმენდილის სინდისით უცხოვრია: სინანული არ აშფოთებს, სჳნიდისი არ აწუხებს, არა ჰქენჯნის და რამან შეაშინა?

შენც კარგათ იცი, თეიმურაზ, რომ დიდი საუნჯეა განწმენდილი სინდისი.

წმინდა საიდუმლოთ მიიღო სიმშჳდითა და მოწიწებით. ნარნარებით გამოესალმა თავისს საყვარელს ბეატრისას; სასურველს ქმარს გულსაკლავად უალერსა და სხუათა შორის დაუბარა, ინდოელები გებრალებოდნენ და უმეტესად ჩემი საყვარელი ზჳმაო: შენდობა მოსთხოვა ყველას და ბოლოს მიანდო თავი თჳსი უფლად და ყოვლითურთ განგებასა ღუთისასა.

ამ მწუხარებაში და სრულით ტანჯვაში ყოფნამ ზჳმა ისე მოაუძლურა, ისე დააუღონოვა, რომ როდესაც გრაფინა აზიარეს, ისიც ავათ გახდა იმისთანავე ცევებით. განმირჩა რა საკჳრველით მაშინვე შეიტყო და თავისის მოძმების ნებადართვით ცევების წამალი შემოუტანა ჩუმათ, იმ ხის ქერქის ნაფშვნეტი, ერთათ ერთი დასალევი; დღეში თითო დასალევზედ მეტს ვერ მოუტანდა. ის წამალი ღამე დაბინების დროს უნდა მიეღო.

ზჳმამ შემოპარებული წამალი სიფრთხილით გამოართვა თავისს ქმარსა, თუალი არავინ შეგვასწროსო და მარტო რომ დარჩა, აიღო ეს ფერფლი, ცრემლით აღვსილი თვალები აღახუნა ცადმიმართ და სთქუა: «ღმერთო დიდებულო! შენ მამხილებ და შენის

სახიერების მორჩილი სიხარულით გავსწირავ ჩემს თავსა, ოღონდკი ჩემი გრაფინა გადარჩეს. ნება შენი აღსრულდეს. საშინელსა ამას ჩუენს საიდუმლოს მე არ გავსცემ.—ჩემში ამგვარს ერთგულებას და თავის განწირვას ხომ არავინ იფიქრებს და იტყუჳან აქიმებმა მოარჩინეს გრაფინაო. განსაცდელი არცარა ვანმირს მიადგება, არცარა ჩემს შვილსა და არც ფიცი გატყდება ჩუენი. გრაფინა განთავისუფლდეს და მე იმის ჯვარის სანაცვლო ვიქნე. რის მაქნისია მაინც საზრალო ზჳმას სიცოცხლე? რამდენით უფრო საჭირო და გამოსადეგი არის ქუეყნისათჳს სიცოცხლე გრაფინასი, გრაფინასი, რომელი არის შვილი ზეციური, ნუგეში მწუხარეთა, მფარველი და შემასუეწნებელი მაშვრალთა, შემწყნარებელი გლახაკთა და მონათა. ახლა არ იყო, რომ დაუღონებულის ხმით ღმერთს ევედრებოდა, შენ განარინე განსაცდელთაგან უბადრუკნი ინდოელნიო! ზეციერო გრაფინა! ინდოელებისათჳს ევედრებოდი ღმერთსა, რომელთაც შენი მორჩენა შეუძლიათ და არ გარჩენენ.—სასიკჳდილოდ განემზადებოდი დღესა და მაშინაც არ დაივიწყე შენი უბედური ზჳმა, მლოცველი და ღმერთს ავედრებდი.—გჰფიცავ, გჰფიცავ მზესა მანათობელსა, (*) თავი განაცუალო და გიხსნაკი სიკჳდილისაგან.»

ჰსთქუა ეს ზჳმამ, შეახვა ქინაქინის ქერქის ნაფუშუწნი, უბეში ჩაიდვა და ზე წამოსდგა. შეფიქრდა

(*) მზე დიდი საფიცარი იყო მაშინ იმათში.

ცოტას ხანს, როგორ შევიდე ისე გრაფინას საწოლში, სადაც სასმელი უდგია გამზადებული, რომ არავინ დამიშალოსო. — იმისი სრულიად არა იცოდარა, როგორი ეჭჳები ჰქონდათ ამაზედ ადებული და რა ნაირათ იყო დაკრძალული როგორც ამისთჳს, ისე სხჳა ინდოელებისათჳს, გრაფინას ოთახის კარი. — სხჳა ამის მეტი ფიქრი არა აწუხებდარა, რომ აგათმუოუის მოვლა მარტო ევროპიელს ქალებსა ჰქონდა მინდობილი და ინდოელს კი მარტო ადარა ვის აკარებდნენ. — თუ შევალ, ღამე უნდა შევიდე და თუ მღჳმარე დამხჳდა ვინმე, ვიტყჳ ვეღარ მოვითმინე და ანბის შესატყობად მოვედი მეთქი. ახლა გზას დავათვალიერებ, იქნება მოხერხდებოდეს. ცალკე შესავალი რომ აქვს გრაფინას საწოლსა, იქიდამ შევიდე და სხჳა წინა ოთახებს ავცდე როგორმე —

კიბე ჩაიარა, კარიდოროს გასცდა, მეორე კიბით ზევით ავიდა, ნახა რომ იმ ცალკე კარის გასადები ზედვე იყო, — მაშ აქიდამ შევალ ამაღამაო ჰსთქჳა და თავისსავე სადგომისაკენ გამობრუნდა. —

ბეატრისას რომ ადრევე გარიგება მოეხდინა, ზჳმაზედ თვალყური გეჭირონ, მას აქეთ ზჳმას ისე ფეხი არსაით გადაუდგამს რომ არავის ედარაჯებინოს. ახლაც მოახსენეს ბეატრისას: «დღეს ზჳმასთან ვარჩმარ იყო; ყური კარს მიაკარით, მაგრამ იმათი ლაპარაკისა ვერა გავიგეთრა; ვანმარ რომ წავიდა, ცოტა არ იყო, როგორღაც დაფიქრებულსა ჰგავდა; პაცარა ხანს უკან ზჳმა გამოვიდა თავისს სადგო-

მაღამ, ის უფრო ფერმიხდილი. — ქეჩვით ჩავიდა, კარიდორი გაირბინა, იქით კიბეზედ აიპარა, ყოვე-ლი კარი გაშინჯა, საწოლის კართან შედგა დიდის სიფრთხილით, თვალი არავინ მომკრასო და მერე ისევ ისე შინ შებრუნდა.

ამ ანბავმა ბეატრისა სულ შეაწუხოდა. ცხადია, უთუოთ შეპარვას აპირებს ამაღამ გრაფინას საწოლ-შიო, ასე გადასწყვიტა და მოახლეებს დარიგება მის-ცა, შინიდამ რომ გამოვიდეს, იმავ წამს შემატყო-ბინეთო და კარებები დაკეტილი არსად დაგრჩეთო. — თჳთან მაშინვე გრაფთან შევიდა და — ასე ანბობენ, ასეო, ყოველივე უამბო. — გრაფმან თუმცა ბოროტი განზრახვა ზუმასი არა დაიჯერარა, მაგრამ აქ რადაც ანბავიაო, ჰსთქვა, და პირობა მისცა ბეა-ტრისას, მეც იქ მოვალ და ერთათ დავემალნეთო.

გავიდა ღამისა ორი საათი და მოახსენეს ბეატ-რისას, ზუმა იმავ გზას დაადგაო.

ბეატრისა და გრაფი გასცჳვდნენ მაშინვე გრა-ფინას საწოლში დასამალავათ. სულშეგუბებულები ისხდნენ ფარდას იქით და ცოტას ხანს უკან დაინა-ხეს, კარი გაღო სიფრთხილით და ზუმა შემოვიდა საკურველი ფერმიხდილი, მორთოლარე და მღიჯს მავალი. თუ ბოროტი განზრახვა არა აქვსო, ასე რა აშრწუნებს და რა აორთოლებსო, იფიქრეს. — ზუმამ მეორე კარს მიჰმართა, უური დაუგდო, იქით ოთახებში მძინარე ხომ არავინ არისო და ხმაურობა რომ არა ისმოდარა, სტოლს გამოუბრუნდა, სადაც სახმელი იდგა ავათმყოფისათჳს მომზადებული,

სიჩქარით ამოიღო თავისი წამალი და შიგ ჩაყარა.

გამოვარდა მაშინ გრაფი. ჰსტაცა ხელი და შეჰს-ძახა, «უბედურო! რა იყო ეგ რომ ჩაყარეო!»

ეხლა ეცა საშინელი ზჯმას, — ჰსთქუა — ჯადამეო, მუხლები ჩაეკეცა მაშინვე და გულშემოყრილი დაეცა ძირს. ადგეს და იმისს სადგომში შეიტანეს. ავათ-მყოფს ეს არა გაუგიარა. გრაფმა და ბეატრისამ პირობა დასდეს ნურცა რას გააგებინებთო; «თხო-ვნას დამიწყებს, დუქის გულისათვს აპატიეო, და ეს აღარ შეიძლება: სამაგალითოთ დაჰსჯა აუცი-ლებელი არისო» — ჰსთქუა გრაფმა და გამოვიდა უხმოდ განრისხებული და გულ აღშფოთებული.

რაღა ეჭუ უნდოდა. ცხადი იყო, რომ ზჯმა ჰსწამლავდა საცოდავს გრაფინას. თავის თვალით დაინახეს ეს ბეატრისამაც და გრაფმაც.

აჰ, ჩემო თეიმურაზ! ნურას საქმეს ნუ აუჩქარდე-ბი, ბევრჯერ თვალით ნახულსაც ნუ დაუჯერებ, თუ გულდამშვიდებით არ გამოიკვლევ. რადგან მოჰხდა ის თვალით ნახული, თორემ შეჰსცდები და როგორ შეჰსცდები! —

იმავ წამს ხმა გავარდა სასახლეში და მრთელს ქალაქს ლიმაში, ზჯმას ზედ მიასწრეს, სასახლეში რომ საწამლავს უყრიდა გრაფინასაო. —

ქუილი მოიხარ, თორემ ბოროტი ხმა ადვილად გავარდება ხალხში და ათასში ერთიც არი თუ დაუფი-ქრდა და მაშინვე არ დაიჯერა, დიდი ანბავია. —

ეს საქმე მაშინვე სამართალს მიაჩვენეს, ზჯმა და-ჰპატიმრეს და საპყრობილეში გაისტუმრეს.

ჯანმირზა რომ ეს შეიტყო, იმაც წამს მიხვდა რაც უნდა ყოფილ იყო და გასწია მაშინვე აზანთან და თამართან.

«ჩემი შვილი ხომ თქვენ გაზარდეთ, ახლა პირობა უნდა მომცეთ, თუ ფიცი არ გავსტეხეთ და საიდუმლო არ გაჰსცეთ, ჩემი შვილი მამა ჩემს დაუბრუნოთ, როდესაც მე და ზუმა დავიხოცებით.»

— გამდლევთ მაგ პირობას, უთხრა აზანმა, მაგრამ მგონია არც ამაზედა გქონდეს ეჭვი, რომ თუ ცოტაოდენიც არის გაამხილეთ რამე, სიცოცხლის ფასად დაუჯდება ეგ შენს შვილსა.—

«ის ჩუენ ვიცით, როგორც დავიხოცებითო, უპასუხა ჯანმირმან და გამოვიდა. გასწია მოხამართლეებთან და გამოუცხადა: «ნებით აღმიარებია, რომ ზუმას საქმეში მეც ვურევივარო.» —

ესეც დაჯაჭვეს და საპყრობილეში შეაგდეს.

მეორეს დილის განთიადისვე შეკრბენ მსაჯულნი საქმის გამოსაკვლევად და მაშინვე დამნაშავეების განსამტყუნებლად. გააღეს სამსჯავროს დარბაზის კარები და ხალხს აცნობეს, ვისაც გენებოთ შემოდითო. იქაურის სამართალს სახალხოდ აწარმოებდნენ.

მრავალი ხალხი შევიდა და საიდუმლოთ უფროსი კაცებიც იმათ შორის: თვით ხიმეო, აზან და თამარ.

შემოიყვანეს უბედური ცოლქმარი ჯემ-ფერ დაბორკილებულნი. ზუმამ რომ ჯანმირიც დაჭერილი დაინახა, დაიძახა: «ამას რა ბრალი აქვს? რაც მე მწადოდა, მაგან სრულიად არა იცისრაო.»

— გაჩუმდი ზჳმავ! ბძანებითა ჯოხრისა ვანმირისა; შენი სიკუდილი აუცილებელია და ჩემი სიცოცხლე რადგან გაფიქრებანა. მე ხომ არავის დავუშვებდებიყავ; ჩემის ნებითა ვარ აქა და რაც შენ დაგემართება, მეც ის დამემართოსთ; ჩუენი შვილი მაინც გადა-რჩეს.»

ახლა ზჳმა მიჰხვდა ვანმირის აზრსა, გაჩუმდა და ცრემლს მიანება თავი.

მსაჯულნი შეუდგნენ გამოკითხვას.

რასაც ჰფიქრობა და თჳთ ვიცეროდ თვალით ნა-ხულად ამოწმებდნენ, იმისი უარისყოფა ხომ აღარ შეიძლებოდა და ეს მოქმედება დამტკიცებულად დარ-ჩეს. მერე ჰკითხეს ზჳმას:

«ვისგან მიიღე ის საწამლავი?

— ჩემგანაო, ჰსთქუა ვანმირმა.

— ვჰსთქუ და კიდევაც ვიტყუ, რომ ვანმირს ჩემის განზრახვისა სრულებით არა ჰსცოდნიარაო, მიუგო ზჳმამ.

«განზრახვა შენი რა იყო, ჰკითხეს.

— ჩემი განზრახვა მოწამლვა არა ყოფილა.

«თუ მოწამლვა არ იყო, მორჩენას ხომ არ ჰფიქრობდი ავათმყოფისასა?

ამ კითხვაში ზჳმამ თვალი მოჰკრა აზნაურს; თუ წამომცდა რამე შვილს დამიკლავენო იფიქრა და ჰსთქუა:

— არა, არა, მე ავათმყოფის მორჩენა წამალი არა ვიცოდა. —

«თუ წამალი არ იყო, მაშ საწამლავი ყოფილა, აღვიარებთ?

—მე არა აღმოარჩენიარა!

იმაშ რა იყო, გვიპასუხე!

—ამაზედ მეცს გურას გიპასუხებთ.

მაშინ წამოხდგა ხიმერო, შჳლსა ჲ სძალს შუა ჩაუდგა ჲ ჰსთქუა: მოიცადეთ ყმაწჳლებო; მეც ამათთან გამსაჯეთ.

—რუწის შჳლს რადას უპარებ მამათ, ჩვითხეს კანმირმა ჲ ზჳამ? მაინც არ დაიშალა ხიმერომ.

ამდროს მსაჯულებს ბმანება მოუვიდათ, გამოკითხვაში სამჯადლებულს თარადს ნურას მოიხმარებთ, ჩურცადა მონაწილეებს გამოჩენას გამოვკიდებით ჲ საჩქაროდ გადასწყვიტეთო.

მაშინ ხიმერო განაშორებინეს ჲ ცოლქმარი ისევ საპყრობილეში გაგზავნეს. იხმეს გრაფინას მკურნალი ჲ გამოკითხვა დაუწყეს.

მკურნალმა ჰსთქუა: გრაფინას ავათმყოფობა უწინადმდეგა ჲ გაუმჯელდა ყოველს წამალს, რაცა ოდენ ამ გვარის სენის გამკურნავად მოვიგონეთ. ყოველი ეჭვ დასაჯერებულად გარდაიქცა ჲ ახლა ცხადად ჰქონდა. რომ ეს ზლიდი ჲ გარეუჭნელი დაიცი, ზჳმად საეჭელდეებული, საწამლავს შეპარებდა სასმელებში ჲ ამით განაგრძობდა გრაფინას ავათმყოფობას. როდესაც განაშორეს გრაფინას საწოლიდამ ჲ სამსახური აღუკრძალეს, მაშინ უეჭუელად იფიქრა, უმაწვლქალობას აგებულება ჲ ყროპაული სამკურნალო წამლები უთუოთ ჰსძლევენ ავათმყოფობას ჲ მოარჩენენო; მისუწრებლი კელიდამ გამოგვეცლება ოუ ბოლო ახლავე არ მოუვდეთო ჲ

დასასრულდ იმდენი საწამლავი ჩაუყარა სასმელში, რომ იმისი დალევა და სულის დალევაც ერთი უნდა ყოფილიყო გრაფინასათჳს.

ამ მკურნალის ლაპარაკში მსაჯულნი სულ ჰსძრწოდენ გულის წყრომითა და მრისხანებითა.—

ვაჲ იმ მსაჯულის ბრალი, რომელიც მრისხანებს და გულს იწყრომებს. გულადშეუოთებელის კაცის სამართალი ჩემს მტერს მოასმენინა,—

მოილაპარაკეს ერთმანეთში გაჯავრებულმა მსაჯულებმა, ხმა შეჰკრიბეს და განაჩინეს:

«ვინაჲდგან განმარ და ზჳმა მოწამლულით კაცჳ-ლაში თავით თჳსით გამოტყდნენ და დამნაშაობა ესე აღიარეს; ამისგამო სიკუდილითავე დასასჯელად განჩატიულდებიან; ხოლო განჩატიება ესე აღსრულდეს დღესავე ამას ჟამსა შუადღისასა შთაგდებითა მათითა ცოცხლად ხროვასა შინა შეშისასა ცეცხლით მგზნებარესა.»

შემოიყვანეს პყრობილნი და განჩინება წაუკითხეს. ჯანმარმა მოისმინა უძრწუნველად და სრულის სიმშჳდით. მაშინ ზჳმა დაეცო იმის ფეხქუეშ და უთხრა: «შენ მე დაგღუპე და მხოლოდ ეს არის ჩემი საწუხარი! მომიტევე, ოჰ, მომიტევე, ჯანმარ!

—აღექ ზეზე, ზჳმავ, უთხრა ჯანმარმა: ჩუენს მსაჯულებს გარდა ბრალი აქ არა ვისა აქუს. ნუგეში ამით ეც შენს თავს ზჳმავ. რომ ამათმა სამართალმა საშინელი ჭდელი აგვყარა და რამდენსამე საათში სრულიად განვთავისუფლდებით ამათის მონებისაგან.—

ამ სიტყუჱბმა თჳთ მხეცს აზანსაც დაუდნებს გული.

—შვილისათჳს ნუ ჰსწუხარ, მიამასა ვაწმიერს, ამას იქით ვზეიცავ ისე უპატრონო, როგორც ჩემს საკუთარს შვილსა.

ცხრა საათი იყო მაშინ დილისა. ბძანება გასცა შეშის ხროვა დაამზადეთო.

გრაფინა მაშინ ისეთს მდგომარეობაში იყო, რომ მკურნალმა გამოცხადებით მოახსენა გრაფს, ხუთიოდ კჳრის დღე რომ კიდევ იცოცხლოს, მეტი აღარ შეიძლებაო.

გრაფი და მეტრისა ისეთს განწირულს მწუხარებაში იყვნენ, რომ იმათი გული უოკლად დახშული იყო ღმობიერებისა და მოწყალებისათჳს. —ზჳმა მაინც ახლა ისეთს რამე საზარელს და საზიზღარს მხეცად მიაჩნდათ, რომ იმის შებრალებას გულდიანის გულის შებრალებაზედ უმეტესად მიიჩნევდნენ, განმზირისთჳს კი ჰზმანა ჯიცურიამ დანაშაულს მიუტევებ, თუ გულის წრფელით აღიარებს თავის ბრალსა.

«ჩუმ მაგიერათ ჯიცურიას ასე მოახსენეთო, დაანარა მოციქულებს განმზირმა, რომ არათუ ჩემი, ზჳმას პატიკებაც რომ აღმითქჳან, მაინც რაცა ჰქსთქუ ჰქსთქუ და გავათავე; იმაზედ მეტს ერთს სიტყუასაც ვედარ მათქმევინებენ.

ჯიცურია, განჩინების აღსრულებას აქ არ დაელოდა, —ქალაქს გარეთ საზაფხულო სასახლე ჰქონდა და იქ წავიდა; სადამომდინ იქ დაჰყოფა და

მერე ასეჳ შოვალო.

ამასობაში უბადრუკი ბეჩავაცი ხიმეო ათასნაირს ფიქრში იყო, რა ექმნა, ჩემი ქანმარ და ზეჳმა როგორ გაიხსნა ამ საშინელის განსაცდელისაგანაო. ჯერ ხალხის შეგროვება დააპირა; მაგრამ დილიდანვე ისეთი ზედამხედველობა იყო ხალხზედ გამართული, რომ საიდუმლოთ მოლაპარაკება არათუ ხალხთან, მარტო აზანთან და თამირთანაც აღარ მოხერხდებოდა. — მერე სახალხოთ ბმანება გამოსცეს, ვინცა-ვინ ინდოელები ლიმაში იპოვება, ყველანი დამნაშავეების დასჯას უნდა დაესწრანო. ინდოელებს იარაღი არა ჰქონდათრა; ისპანიელების ჯარი ერთი ორად იყო მომატებული; ამას გარდა როდესაც პყრობილების დასაწყავად წაიყვანდნენ, ორასი სალდათი ყარაულად უნდა ყოფილიყო. ინდოელებისათვის მორჩილების მეტი სხვა ღონე აღარა იყორა და სასოწარკვეთილმა ხიმეომ ბოლოს ეს განიზრახა თუკი შვილები დამეხოცებიან, მე რაღათ მინდა თავი ცოცხალიო და როდესაც იმათ ცეცხლში ჩაჰყრიან, მეც თან გადავყვებიო.

როდესაც მთელი ქალაქი ამ საზარელის სანახავის მოლოდინში იყო, მაშინ საბრალო გრაფინა ქუჩემ-საგებში არწყა მეტად დასუსტებული და შეწუხებული. ქალაქში რა ამბავი იყო სრულებით არა გაეგებოდარა. შესვლა გასვლა კი როგორღაც უფრო გახშირდა იმ დილას იმის საწოლში; ყველას რაღაც გულისშფოთვა ეტყობოდა, ასე რომ ავათმყოფმაც კი იგრძნო რაღაც ალიაქოთი არისო და კითხვა

დაიწყო, რა ანბავიო? შეატყო, რომ რაღასაც უმალავდნენ.

ბეატრისა მეტადრე ხშირად გადიოდა საწოლიდამ, თავისუფლებით მაინც ვიტირებო და ერთხელ. ბეა-ტრისა რომ გარეთ იყო, გრაფინა ერთს მოახლეს ჩააცივდა, თითქმის ვედრება დაუწყო, მითხარ რა ანბავიაო. ბოლოს ისეთის ფიცებით უბძანა, ახლავე მითხარიო, რომ მოახლემაც ვეღარა დაუმალარა და მოახსენა, ასე მოხდა. ასული; ვანძერ და ზჳმა არაოდეს აღარა შეიცვლენ. სატრაბაბახთაც თურმე მიაჩნიათ თავისი მოქმედებაო.

უხმოდ გაოცდა და განცვიფრდა ავათმყოფი ამ ანბისაგან.

«ჰოი! უზესთაესო კაცთმოყვარებაო! შენდამომართ მოვიკვლევ სასოებითა ჩემითა, შენდა ხმავჰყოთ მეუფეო, მამხილე სიმართლენი შენნი»...

დასუსტებულმა ლექსით ვეღარ დაამთავრა ლო-ცვა, — და ან რა საჭიროა ლექსი გულთამხილველის წინაშე?...

— გადახსნილი ტახტრავანი მომიმზადებინეთ, რომ ახლავე წამიყვანონ, უბძანა გრაფინამ.

მისცვივდნენ ყოველნი და ტირილითა და გოდებით ეხვეწებოდნენ ნუ ინებებო; ბეატრისა ცრემლის ფრქვევით ევედრებოდა, შენი ჭირიმე, შენ გენაცვა-ლოს შენი უბედური ბეატრისა, ღვთის გული-სათჳს ნუ იქ, ნუ ინებებ გარეთ გასვლასაო, მაგრამ არ იქნა.

მოახლეები მოიხმო, გრძელი მოსდინის შესამოსი

მოასხმევინა, ტახტრავანზედ დაესვენებინა; ოთხს კაცს ტახტრავანი აღეკიდებინა, მეხუთე სამჩუქრით თავს დაეყენებინა, ვინ ხელ თეთრი გაჩის ბადე გადაფარე-ბინა და ჰკიდნა, ასე მიმიტანონ სადაც ცეცხლი არის გამზადებული.

შეადედე მოტ ნეხული იყო და ისიყო განმირ და ზჳმაც გამოეყვანათ საპყრობილედამ და სასიკვდი-ლოდ მიჰყავდათ. ზჳმა ცალკე თავისის აგათმყოფო-ბისაგან და ცალკე ამ საშინელის განსაცდელისაგან დაუძლურებული, საწყალს თვითონ რომ ვეღარ ახერ-ხებდა, მღდელს მიჰყავდა და თან ორი ყარაული მისდევდა. აყრეული ხალხი აწყდებოდა ერთმანეთს, ერთი შეხედეთო, ერთი თვალი მოჰკრათ ჩვენს ზჳმასაო. ამ ხალხში ახან დაინახა ზჳმამ, რომ იმისი შვილიც ხელით ეჭირა. როგორც რომ ამას თვალი მოჰკრა, ერთი შეჰკივლა და იმავ წამს მღდე-ლსაც მოშორდა, ყარაულსაც თავი დააღწია, მივა-რდა ახანს, შვილი გამოჰგლიჯა ხელიდამ. დაუწყო გაგიჟებით კოცნა და გული რომ კიდევ შეიმაგრა ისეის ტირილს მოჰყვა. რომ ხალხიც სულ გულ-მოკლულით ატირა. — ამასობაში ახანმა წასჩურჩულა: „გასინჯე ზჳმავ! შენი სიკვდილი სასიქადულოა ჩვენთვის; უფრო კედარავინ გაბედავს შეიცის გა-ტეხასა"...

— და. ნეტავი გრაფინა მოშორდებოდეს და სხვას რას განდგილი....

მაგრამ კიდარა მსოფლიო რა ზჳმამ; სალდათები მოუ-წიენ, და შვილი რომ ხელიდამ გამოსტაცეს, —

ახლა კი მოვშჳჳდი, — ჩემი სიცოცხლეც შჳლისთჳს შემაწირავსო, ჰსთქჳა და გაუყვნეს გზასა. — სამასიოდე ნაბიჯიღა თუ იყო კიდევ ხროვამდინ. ამ დროს მაუჳრმა აცნობა ჯარსა, დასაწვავნი ახლოს არიანო და ხმელიშეშის ხროვას ცეცხლი შეუკეთეს. — ზჳმამ რომ თითქმის ცამდის აყოლილი ალი დაინახა, თავს ისეთი ზარი დაეცა, რომ ქმარიც დაავიწყდა და შჳლიც; თვალწინ აღარა უდგარა სიკუდილის მეტი, რომელიც ასე მოახლოებული. და ასე აუცილებელი იყო; მერე როგორი სიკუდილი! სიცოცხლის ღონე თითქმის ყოველივე ახლა მიეღო. შიშზედ სიკუდილის ფერმა გადაჰკრა და მეუღლეს რომ არ შეეცნა ჴელი, უთუოდ წაიქცეოდა.

— ზჳმავ! ჩვენი წამება მალე გათავდებაო. უთხრა ჯანმირმა; შეჰხედე როგორი გუგუნი გააქვს ცეცხლსა. ერთს წამს მოვრჩებით!

— ოჰ! ვჰკუდავ... ვჰკუდავ... ამ ცეცხლსა... ძლივსღა ჰსთქჳა ზჳმამ.

რამდენსაც უფრო დაუახლოვდნენ, იმდენათ უფრო და უფრო დაიმაბუნა საზარელებამ უბედური ზჳმა. აგერ, მიატანეს კიდეც; ინდოელები ცეცხლს გარს არტყიან და გლოვის ნიშნად ქჳპაროზის რტოებს უქარავთ ჰაერში, მდუმარეებსა, თვალდამუნებულებს, დაღონებულებს. ამათ გარს არტყია ჯარი, უფრო მდუმარე უფრო უძრავი — სახე ამ აუარებელის ხალხისა გამომეტყუელებს მხოლოდ ამას, რომ ყველანი სულ შეგუბებით ელიან ორის ადამიანის, ცოლქმარის, საშინელს სასჯელსა, რომელიც ეს

ჯრის გული უნდა აღსრულდეს. —

აჰ! ეს უბედურებაც! ორიოდ ნაბიჯი კიდევ და...

ამ დროს ხალხში რაღაც ხმამ იელვა და უეცრად შორი ქალაქისაკენ აქცია. დაინახეს, როგორც ცხენოსანი ხალხის ზღვებს დაუზოგავად არღვევს და მო-უძახის: —

«შეჩერდით, შეჩერდით! — გრაფინა მონპანსიერა-თვის მონპანსიერა აქ: აგერ თან მომდევს!!..

შეჰხედა უოველთვე. ზუმამ ბედუში ცადმომართ-აჰპყრა; თუმცა იმისს დაორგულებულს გულში იმედის ნაპერწკალი არა ჩაკარდნილიყო.

გაირღვა კიდევ ხალხი და გამოჩნდა ტიტრასკანი გამოჩქარებით მომქროლავი როგორც შეიძლებოდა. მოაგდო ნეს უბედურს ბერობლებთან და შეიყვანეს. გარს შემოერტყა ღელღვალს დაარდა, და დარდაას გარს შემოერტყა ხალხი.

ამ დროს გრაფინამ ბარბარე გადმოიხსნა და გამოიჩინა ხაზუ უფრდაკრეგული, უკიდურესად დასუსტებული, მაგრამ მაინც ლმობიერების და მოწყალების გამომეტყველი: «მე, მართალია ნება არა მაქვსო, — ჰსთქვა უდრონოთ, ჩემით გამოყვანილი ამათი დახსნა განსაცდელისაგან; იმედი მაქვს ჩემი მეუღლე მეფეს ტახტთან და მანამდისინ იმათ სიმშვიდეს გამოვიღებდი, ჩემს ხაფარებულს ქვეშ შამიღია ჰსჯანი. ფიცუნი შეახსენით. ცეცხლი გააქრეთ. აქე-მდისინ რომ მეფეთა რამე. ანთეუნც არ დაგვიმართ-ჭებოდეთ; ღმერთმა ხომ იცის რომ არა ვიციოდით.»

ინდოელებმა რომ ეს გაიგონეს, ტოტები გადა-

უარეს და ერთხმად შეჰსძახეს: «დღეგრძელ იყავნ ჴელდოვანი ჩუენი!» —

ამ აღტაცებულს გრიალში ხმერთმ ხალხის სი-ხარქე შემოაშთო, ტახტრაკანზედ მდებარეს გრაფინას კელი შეახო და ხალხს შესძახა: «უნდა იცოცხლოს ამან თუ არა?

— იცოცხლოს, იცოცხლოს, — მოაძახა მთელმა ქალაქმა. და გავარდა ხმები ისევ გარეთ.

ზჳმა მუხლებზედ დაუჩოქა და ჰსთქუა: «ღმერთო უოვლის შემძლებელო, სრულ ჰყავ საჴწაულე შენი!»

განმართ და ზჳმა თანგაიოლდა გრაფინამ და ტახ-ტრაკანი შინისკენ გაიბრუნეს. ხალხი თან დაედევნა ლოცვით და კურთხევით.

შინ გარდამეტებით დადეული ზოგ ქუცმაგუშმ ჩაწუა გრაფინა და ცოლუქმარს ანიშნა თავით მომა-შორდითო. ეს არის მოატანა ჩუმმან უკანასკნელმა ჯამმათ იფიქრა და რომ კედარა ჰსთქუა, ერთი კელი კანმარს მიაწოდა, და მეორე ზჳმას. — ზჳმა დაეკონა ამ კეთილის მყოფელს მარჯუენასა და განბანა ცრემლის ნაკადულებით.

ამის მაყურებელს ბეტრისას გულმა კედარ მოითმინა და უბძანა მოსამსახურეებს: გაიყვანეთ ესენი აქედამ და ამ ოთახში გაუკდეთო.

— არა, არა, ჰსთქუა გრაფინამ! მე კარ მომა-სურვე მაგათი წინაშე დუომისა.... ღმერთი თანასწორად განვკვესჯის უოველსავე.. მინდა აქ იყვნენ... ესენი არიან კარის გამღებნი ჩემნი სასუფეველისამართ...

— ღმერთო უოვლადმძლიერო! უპასუხა ბეატრისამ!

როგორ მოგანებოთ ამ უსჯულოებას, ამ შენს შეჩვეულებას!

— მიიღოს ჯვარავის მამოცვეთ, ბეატრისა. გაცეოთ, რომ დღონეს მამატებს გს მოწითოდარე კელი: გაუხედნებით არის ჩემი გული ამ კედლში.

«ოჰ! სათნოო და სახიერო, გულამოსკდომით შეახსენა ზუმამ გრაფინას. თუ ღმერთმა არ ინება გამართლება ჩემის იმედისა, შეწყალა მაშინ დაინა-ხავს. როგორიც სიყუარული და ერთგულება მქონდა შენი მეუს უბედურის ზუმასი... უშენოთ სიცოცხლე ყოვლად შეუძლებელია ზუმასთვის

ამ სიტყუებმა ბეატრისა უმეტესად განარისხეს: «მე წყეული მაცთური!...

— ნუ, ბეატრისავ, უთხრა გრაფინამ: ნუ ჰსწყე-ვლი, ჩემო ბეატრისავ! მიჰხედე ამათ ცრემლოვანს თვალებს... ზუმავ! შენი სახე ზეციერის სახიერების გამომეტყველი იყო მარად ჩემთვს. გულითად სა-უკარელი იყავ ჩემი; როგორ შემიძლია გულში შენი მჯერი ვიქონიო რამე... შენცა და შენი ქმარიც საუკუნო ცხოვრებისათვს მოვლინებულად მიმაჩნი-ხართ ჩემდა, სრულის გულით მოწიფეებია თუ და-ნაშაული გაქვთ რამე. — ისე ღმერთმან მე მომიტე-ვოს თანანადებნი და შეცოდებანი ჩემნი!...

ამისმა გამგონემ ზუმამ ყოველი მოთმინება დაჰ-კარგა და გულახსნით ლაპარაკი დააპირა; განმარმა რომ შეატყო, ახლა უთუოთ წამოსთქვამს რასმეო, უთხრა: «ზუმავ ჩემათ გიუკნეთ ჯუარ კიდევა ჩემის ქედლოვლის სიმართლე თვით ჩამიყვანს ჯოჯოხეთ-

ტებას ჩეცადამა: ჩუენ იმ ღმერთს მივენდვნეთ. რომელსაც ეგ ესავს; ის დაიხსნას ამისს სანატრელს სიცოცხლეს განსაცდელისაგან და ჩუენც ისევ გაგვამართლებს. ახლა ჩუმათ ვიყვნეთ.

ასეთის გულის საწყალთა ჰსთქვა ეს ვანმარმა და ასეთით რიდითაც სულის სიდიდითა, რომ თვთ მეტრისაც გაოცდა. გრაფინამ გამოკითხვა დაუწყო ვანმარს, მაგრამ იმან აღარა თქვარა. ღუთის გულისათჳს ნუღა რას მკითხამთ და ორის საათის განმავლობაში ისე გაჩუმებულნი იყვნენ ორნივე ცოლ-ქმარი, რომ ხმა აღარ ამოუღიათ. შეჰყურებდნენ გრაფინას და მდუღარედ ცრემლებს აფრქუევდნენ.

გრაფინამ როდესაც ამათი გამოხსნა დააპირა, კაცი უგზავნა მაშინვე გრაფსა და ჰკითხა, როგორც შეეძლოს ისე საჩქაროდ მობძანდითო.— ამდენი ხანი რომ გამოვიდა, მეორე კაცის გაგზავნა დააპირა და ამასობაში გარედამ რაღაც ხმაანობა და ღაღადი მოესმათ. უცნაური რამ იყო ეს ხმა. არ გავიდა ერთი წამი რომ გრაფის ხმაც გაარჩიეს.

გრაფინამ გაადევნინა მაშინვე კარები და ჯერ გრაფი შემოსულიც არ იყო, მიაძახა მდებარემ: ღუთის გულისათჳს, ღუთის გულისათჳს, მოწყალედ ჰქმენ ბრალეულთა!

— ბრალეულნი კი არა, მხსნელნი არიან შენნიო, ჰსთქვა შემომავალმა გრაფმა, და ამ სიტყჳსაგან ვინცა ვინ ოთახში იყო თითქო გაქვავდნენო, ისე გაჰკვ-

რდნენ.

კოცნიდა უმაწვილე გმირს ყელში შჳლი თვით ზჳმასი.

მაჰგვარა ზჳმას. მუხლი მოიდრიკა ამ ინდოელის დედაკაცის წინაშე და ისე ჩაბარა თავისი შჳლი. ხიმენოც თან შემოჰყვა გრაფსა, მივიდა განმარტოვან და უთხრა: ახლა კი შეგიძლიან ჰსთქვა ყოველივე. ესპანიელნი ყველანი თანახმანი არიან და დაფარული აღარა გვაქვსრა; ჩვენი წამალი ყველამ მივიღეთ მატრონის წინაშე და თვითონაც მიიღო მანამდისინ აქეთ წამობრძანდებოდა.

ამ საუბარზედ ზჳმა ისეთმა სიხარულმა აღიტაცა, რომ კინაღამ დაარჩო თავისი შვილი ალერსით. გან-მირ მამას გარდაეხვა.

გრაფი ისევ მუხლმოდრეკილი და გამოუთქმელის მადლობით გულს კიდე ზჳმას კალთასა ჰკოცნიდა.—

გრაფინამ—რა მოხდა, ღჳთის გულისათჳს შემატყობინეთო.

მაშინ წამოდგა გრაფი და შემოკლებით განაცხადა, რაც ინდოელებისაგან ჰქონდა შეტყობილი.

—ღმერთო დიდებულო, ჰსთქვა გრაფინამ და ხელი მოჰხვა ზჳმას: ეს ღჳთის ანგელოზი ჩემთჳს თავგანწირული თურმე იყო და ამასაკე დაწვას უპირებდნენ; ჩემთჳს ჰკვდებოდა და ჩემს საყუდელს ამასა ჰსწ მეჰღნერ! ოჰ! ღმერთო მოწყალეო!

—შენაჰ? დედოფალო, მოახსენა ზჳმამ. შენს მკვლელად მიგაჩნდით, შენის ავათმყოფობისა, მწუხარებისა და ტანჯვს მიზეზად, მოწამლველად და

შენვე დაგვიფარე. შენვე გვიხსენ სასჯელისაგან: ვისი უფრო არის აქ ღუთიური სათნოება და ქველის-მოქმედება?

— მგზეც მიიღებს თავისს ჯილდოსა, ჰსთქვა გრაფმა; მგზეც მოჰრჩება თავისს ავათმყოფობასა, მოჰრჩება თქვენის ხელით. — აჰა ორი ჯური გამ-კურნავი წამალი: ერთი ჩვმას, მეორე გრაფინას.

ჰსთქვა ეს გრაფმა და თვითანვე ჩაჰყარა წამალი ორს ფიალაში: ჩვმამ აიღო, ერთი თვითან დალია და მეორე გრაფინას დაალევინა, აღტაცებულმა, სიხარულისაგან გაგიჟებულმა.

ამისა მაყურებელნი ყველანი ცრემლებით ირე-ცხებოდნენ. —

გახარებულმა გრაფინამ უფრო აღტაცებით მიიღო ალერსი თავის მეუღლისა, ბეატრისისა და ჩვმასი. როგორც ერთხორცნი ისე ეტრფოდნენ ერთმანეთს. გრაფინამ მერე ჩვმას შვილი მოაყვანინა, გულს მიი-კრა, მშობლიურის ალერსით აღავსო და ჰსთქვა: დღეის იქით ისე ვზრდნე მე ამას ჭეშმარიტად, როგორც მშობელი დედაო

ახლა ბეატრისა და სხვა ისპანიელი ქალები ყვე-ლანი ჩვმას შემოეხვივნენ. იმათ ამის წინაშე მოწიწე-ბა და თითქმის თაყუანისცემის ზომა აღარა ჰქონდა. ბეატრისა, თითქო ტრფიალების ცეცხლით აღტყი-ნებული, ჩვმ ხელებს უკოცნიდა, იმ ხელებსა, რომელსაც წუხელის ისეთი საშინელი ცოდვა დას-წამა.

ეს სიხარული და აღტაცება რომ დაჰსცხრა ცო-

ცაოდნად, მაშინ ვიცეროჲმ ჴელი მოჰკიდა ვანმირს და ჯჳმას, გაიყვანა მოაჯირზედ, რომელიც დიდის ყაბახისაკენ იყო გარდაკიდებული, ის ყაბახიც ხალხით გავსილი და დაუწყო იქიდამ ხალხს ლაპარაკი:

«აჰა ნებსითნი მსხუერპლნი ფიცისა და აღთქმისა, ვანმირ და ჯჳმა! ინდოელებო! ამათმა ღუთიურმა სათნოებამ და ჩემის გრაფინას გულის სიკეთემ მოგაშორათ თქუენ დღეს სიძულილი, რომელიცა ჰქონდათ თქუენზედ ევროპიელებსა და რომელიც ახლა უსამართლოებადა იქნება. რაც თქუენ სამართლიანმა შურისძიებამ აღთქმა დაგადებინათ მქუე-თაგანზე, თუ არა თქუენზე, — სხუა ვერავინ აგხსნიდათ ამ აღთქმას და ახლა თქუენვე თქუენის ნებით აიხსენით. აქამდისინ მტერნი იყავით ჩუენნი და დღეის იქით კეთილისმყოფელნი ხართ. ახლა არათუ კაცობრიობითი ვალი იქნება ჩუენი ყოვლის გულისმოდგინებით ვიზრუნოთ თქუენთჳს და კეთილდღეობისა თქუენისათჳს, — ვალი იქნება მადლობისა და თუ კაცნი ვართ, გარდავიხდით ამ ვალსა. ინდოელებო, ვინცა ვინ ახლა ამ სამარადისოდ კეთილსახსენებელს შეკრებილებაში იმყოფებით და არ იმყოფებით, დღეისიქით თავისუფალნი ხართ ყოველნივე მონებისაგან და თანასწორნი ჩუენნი, რომელნიც აქამომდე თქუენდა პერობელად მიგაჩნდით. გიყვარდეთ კელმწიფე და ერთგულექმენით, როგორც ჩუენა ვართ, მოძმენი ახლა თქუენნი; იხარეთ და იდღესასწაულეთ დღეს შემინებული თავისუფლება თქუენი; შეიმუშავეთ მამულები, რომელსაცა

გიმტკიცებთ საშვილიშვილოთ და უმეტეს მომლელო-ქმნენით ხეს მას სიმრთელისასა, რომელიცა ნიჭი არს ღვთისა მიერ თქვენთვის განჩენილი და თქვენ-მიერ ახლა ევროპიელთათვისცა ნაზიარები.»

რასაკვირველია სიხარული დიდი შეუყენა ქვე-ყანასა ამ ვიცეროჲს განცხადებამ.—

იმავე დღეს ზჳმა მოჰრთეს სადღესასწაულო-ტანისამოსით და სადედოფლო სამკაულებით, დაჰ-სვეს მდიდრულად შემკობილს ტახტრევანზედ; ბეა-ტრისა და სხვა სასახლის ქალები, ისინიცა სადღე-სასწაულოდ მორთულნი, თან გაჰყოლეს, ვიცეროჲს კარის გვარდიას მიადევნეს და მთელი ლიმა ასე შე-მოატარეს. წინ ცხენოსანი ჰეროლდი მიუძღოდა და იძახდა: «აჰა ზჳმა, მეუღლე სათნოს ვანმირისა და მხსნელი დედოფლისა ჩინჩისა.»—

იმავ სასახლეში რამოდენიმე ოთახი ვანმირსა და ზჳმას განუმზადეს, მოსამსახურენი მიუჩინეს და ისე ეპყრობოდნენ, როგორც ბატონების ტოლებს და სარწმუნო მეგობრებს.

გრაფინას გული აღვსილი იყო ახლა მორჩენის იმედით, სიხარულით და ზჳმას გამორჩობილებულის სიყვარულითა.

ციებამაც გაუშვა ორნივე ავათმყოფები.

ერთს კვირეშიდ გრაფინა ასე უკეთ შეიქნა, რომ ცოტა უღონობის მეტი აღარა უჭირდარა.—

სადაც ხროვა იყო ზჳმას დასაწვავად დამ-ზადებული, ზედ იმ ალაგს გრაფმა სინჩომ მარმა-რილოს მეგლი აღამართვინა და ზედ ოქროს ასო-

ზით დაანწერიან:

# ზ ჳ მ ა ს,

## მ ე გ ო ბ ა რ ს ა და ს ი კ უ დ ი ლ ი ს ა გ ა ნ

მხსნელისა ვილერთელ მეუღლისასა

და ბეთილის მეოთველისა მეფლის ქუეყნისასა

ს ა მ ა რ ა დ ი ს ო ს ა ხ ს ე ნ ე ბ ე ლ ა დ

აღეგებული-ექმნა ძეგლი ესე.

ის ქინაქინის ქერქის ნაფქვს ვილერთელმ მამინვე ევროპაში გამოგზავნა და მას აქეთ გაჩნდა ჩუენს ქუეყანაშიაც ეს უებრო ციებების წამალი. ამ თავადქე-ბში დიდხანს ეწოდებოდა ამ წამალს საკუთრად გ რ ა ფ ი ნ ა ს პ ა რ ა შ ო კ ი და შემდგომ დაერქუა, ქინაქინის მარილი.

ზოგი ამისთანა საქმეებიც კი მომხდარა ამერიკაში, ჩემო თეომურაზ. რას იტყჳ, ვნახოთ.

შენი ზაქარ ქართლელი.

ქუწნტკოცით.
19. ივლისი 1858.

---

# ორბელიანთ ანბავი.

ჩვენმა მახლობელმა მცნობმა, სტეფანე მდივანოვმა მომიტანა თავისი ნათარგმნი, სომხურიდგან ქართულად, სხვა და სხვა საქართველოს ძველი ანბავი: ს ა ს ო მ ხ ი თ ო ს ძ ვ ე ლ ი უ ბ ნ ო ბ ა. ამას სომეხნი, სომეხთ სასწავლებლებში აჰსწავლიან ისტორიად უმაწვილებს, სადაც ორბელიანთ მცირედი ანბავიც არის დაწერილი. მე ეს დიდის კმაყოფილებით ადმოვწერე ცისკარში დასაბეჭდავათ. ვიცი და დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი ორბელიანი სიამოვნით წაიკითხავს ამას. გარდა ამისა, სტეფანე მდივანოვი დაგვპირდა: ორბელიანთ ისტორიას სრულად გადმოვთარგმნიო. ჩვენც ამ შრომისათვის დიდს მადლობას განუცხადებთ, მაგრამ ვთხოვთ, რაც საქართველოს შეეხებოდეს სხვებიც გადათარგმნოს, რომლისათვისაც უფროს მადლობელი ვიქნებით.

## სასომხეთის მეჯლის ჟუნობაში:

მასწავლებელი ჰკითხავს მოწაფეს: — სადა-
გან მომდინარებულ იქმნენ ორბელიანნი, ანუ ორ-
ბელიანის (სომხურად) ნათესავი?»

მოწაფე: ორბელიანთ ნათესავი, (ჭინელთ) ჩინელთ ნათესავთაგან არიან, რამეთუ (ჭენბაკურ) ჯამბაკურ ჩინელთ მეფის ძე დროს აღრეულობისაგამო, ძეთა მეფისათა იწყეს ურთი-ერთისადმი ბრძოლა, და მას დროს ერთ კერძოდ, თვისის კერძოობითურთ საქართველოსა შინა განივლტო, და ქართველთ იხილეს, რამეთუ იგინი არიან ფრიად მამაცნი, მისცეს ორბეთის ციხე, და სხუა-ნაცა მრავალნი ადგილნი სამკვიდრებელად; ამ ციხის ორბეთის სახელწოდებისაგამო, შემდეგ ეწოდათ ორბელნი, ანუ ორბელიანნი, ესე იგი ორბეთელნი. ესე ნათესავნი, ვითარცა ქართველთათანა, ეგრეთვე სომეხთათანა აღირიცხნენ და ბაგრატიონთ კვერი-კიანთ მეფეთათანა ემახლეს. (*)»

— ორბელიანთ, ვითარი პატივი და პირველობა აქუნდათ? —

«ორბელიანთ საქართველოსა შინა სპასპეტობა

---

(*) მგონია ეს კვრიკე კახეთს გამეფდა; ამან მიიღო პირველად კახეთის მეფობა, მარამ ეს კვრიკე ბაგრატიონი არა იყო. ეს იყო კახეთის მთავარი ანუ ქორიკოზის ფადალი, არუნშანელის ჩამომავალობა. — ნახე ქართლისცხოვრება. —

აქუნდათ, და იყვნენ ყოველნი მეფის თანამდე-ბობის აღმასრულებელნი. მათს უფლებასა ქუეშე იყვნენ და აქუნდათ 12 საკუთარი დროშა, და თჳ-თოეულის დროშას ქუეშე 1000 მხედრობა ჰყვან-დათ. რაოდგანც მეფეთ ნიშანი დროშისა წითელი იქნებოდა თეთრსა ზედა, ამისათჳს ბმანეს, რამეთუ განსხვავებულ იყოს, რომ თეთრი იყოს წითელსა ზედა, და ოდესაც მეფის პირისპირ მივიდოდნენ, ეპყრათ ხელთა შინა არწივის თავიანი კვერთხი და მეფეთ მეჯლიშსა შინა, ყოველთ მეინახეთა ზემოთ დასხდებოდნენ, და თჳნიერ ამა პატივისა, ქართ-ველთ მეფეთ გჳრგჳნის დამდგმელნიც იყვნენ.»

— ოდეს დასრულდა ნათესაობა ორბელიანთა?

«მეთორმეტეს საუკუნესა შინა, ქართველთ მეფემ დავითმა, მე თჳსი დემნა, მცირე წლოვანი, მიანდო დიდებულთა თჳსთა და ივანე სპასპეტსა, რომელიც იყო ორბელიანთ ნათესავი, რამეთუ ოდესაც დემნა აღიზარდოს, იგი ჰყოს მეფედ, და როდესაც აღი-ზარდა ყრმა იგი, იოანეს ჰსურდა გამეფება მისი, და გიორგიმ დავითის ძმამ, რომელიც ქართველთა ზედა მეფობდა, შეიპყრა ივანე და დემნა და ორნივე თჳა-ლთაგან მოაკლო, და უბძანა, რომ ორბელიანთ ნათესავი ერთობ აღხოცოს, რომელთაცა მოსვლა ჩინელს ქუეყნისაგან, ათას წელიწადის ზედა უმეტეს იყო, და ამ ნათესავის ამოწყვეტა იყო 1177-სა წელსა შინა, მხოლოდ განთავისუფლდა ივანეს ძმა ლიპარიტ, თჳსის ორის შჳლით, ელიკუმის და ივანეთი, სპარსეთსა შინა წარსულნი, და მათგან

ჭადევგე იყო გამრავლება, თამარ დედოფლის დრო-სა, რომელიც გიორგის მიადგილედ იქმნა, და ივა-ნე განჯის ამირასთან მისრულ იყო, და უკუმოა-ქცევს თჳსსავე ორბეთის ციხესა შინა.»

— ორბელიანთ ქუეყანა სად იყო?

«ორბელიანნი პირველად დაემკჳდრნენ ორბეთის ციხესა შინა, რომელიც იგი არს სამშჳლდესთანა. თქმულ არს, რამეთუ პირველი მათი სამკჳდრებელი იყო სომხითსა, გუგარის ტაშირის თემსა შინა, და ჰფლობს ეგრეთვე დმანისსა, ხუნანს და ქალაქებს; და რადგან გუგარის თემი მას დროსა მფლობელო-ბასა ქართველთა ქუეშე იყო, და ამისთჳს მეფენ მრა-ვალნი ქართველნიც იპოვებოდნენ, და შემდეგ 11-სა და 12-სა საუკუნესა შინა ორბელიანთ ნათესავი განთქმული იქმნა სივნელთა ქუეყანასა და მეფენ მრა-ვლის პატრონნი შეიქმნენ, და კაპიელთ კლობის თემისა, და სხუა მრავალნი ადგილნი დაისაკუთრეს, და მო-უგრობით აღერიცხნენ და შეერთნენ სომეხთათანა. ამ ნათესავთაგან იყო სტეფანე ორბელიანი, ანუ ვორ-ბელიან (სომხური) ტარსაიჭი, ათაბეგის შჳლი, რომელიც შემდეგ 1285-სა წელსა, სივნელთ ეპის-კოპოზი იქმნა, რომელმაც ორბელიანთა და სივნე-ლთ ნათესავის მოთხრობა აღწერა.»

— ორბელიანნი სად დაეფლვოდნენ?

«ქართველთ ქუეყანასა შინა მყოფთა, სასაფლავო

ვო იყო ბეთანიის მონასტერი (*); სივნულით ქუე-ყანასა შინა მყოფთ ორბელიანთ სასაფლავო იყო ახალმონასტრად წოდებული მარტომყოფელთა გამა-თელით ხევთ თჳსსა შინა, და ცოტაოდენ დაფლულ, ტათევისა მონასტერსა შინა.»

—ორბელიანთ ნათესავთაგან ვითარნი გამოჩე-ნილნი კაცნი ყოფილან?

«ესე ნათესავნი ფრიად მამაცნი და მხნე გულის მექონნი იყვნენ, და დროსა და დროსა შინა ძლიერ გამოჩენილნი მხედარნი იყვნენ: რომელნიმე ქართ-ველთ მეფეთა შორის და მასთანვე სომხეთის სამძღვ-რებსა შინა 10-ის საუკუნიდგან, და შემდეგ დიდის

(*) დიდი ხანია ზარათიანთ და ორბელიანთ, ერთ გვარის ჩამომავლობას ვეძებ, წერილით დამტკიცე-ბას, რომელიცა ამაზე დარწმუნებული ვიყავ, ზარა-თიანიც ორბელიანთ გვარისანი იყვნენ, მაგრამ და-უმტკიცებლივ, რომ დამეწერა, რა იქნებოდა?— ახლა დაამტკიცებს, ეს სომხური ისტორია: ძველს დროში ორბელიანნი იმარხებოდნენ ბეთანიის მო-ნასტერში და შემდეგ ზარათიანად წოდებულთ სასა-ფლავო ყოფილა, ვიდრე სომხითი წახდებოდა. პი-რველი თქმული ესე ისტორიით დამტკიცდა და მეორე ცხადია ჩვენთჳს. აქ ცხადად გამოჩნდა ორბელიანთ სასაფლავო. ისეც იმას გჳარისვე დარჩებოდა, სადაც სხჳა გარეშე გვარი არავინ არ შამოსულა იმათ მამულზე, თორემ გამოჩნდებოდა და არცა დაგვემა-ლებოდა ჩუენ.

მამაცობით დაიცვევდნენ, ოდეს თათარნი და სპარსნი წარმოემართებოდნენ.»

—ზემო ხსენებულთ უპირველესობისა, ხხუა რაჲ უპირველესობა აქუნდათ სომხეთსა შინა?

«თჳნიერ ამისა არიან სხუანი უპირველესობანი და ნათესაობანიცა, რომელთა დასაბამის და ქუეყნის უცნობელობისათჳს, ამასა რიგსა შინა არა დავსდევით, და უკეთუ იხსენებიან, ისევ ჩუენის მეისტორიეთაგან: ვითარცა ბაგრატიონთ ნათესავთ მომდინარეობა, მამაკონიანთი და არწრუნიანთი.»

ესე ყოველი მოთხრობა ქართველთა და ორბელიანთა, აღწერილი არს კითხუა მიგებით, რათა ყოველთა სომეხთა გამოჩენილთა სასწავლებელთა შინა, კითხუა მიგებით ასწაონ, ვითარცა ვენეციასა შინა, მგრეთვე ყოველს ქუეყანაში, სადაცა არიან სომეხნი.

თ. ალ. ვ. ორბელიანი.

ეპისკოპოზი დერმანე.
სტეფანე აკოფოვი.
უფალი შიმანსკი.
თ. გიორგი ერისთავი.
179 სტეფანე სამანოვი.
თ. ვარნავა ლორთქიფანიძე.
თ. დიმიტრი შარვაშიძე.
თ. გრიგოლ შარვაშიძე.
თ. გიორგი ერისთავი.
ლუკა ისარლოვი.

ალექსანდროპოლში.

185 ელისბარ მოსიძე.
ალექსანდრე სულხანოვი.

ერევანში.

187 დავით ტაზიევი.

გორში.

188 გაბრიელ მამაცოვი. — 20 წიგნი.
თ. დავით ერისთავი.
ქაიხოსრო ყიფიანი.
ქ. ელისაბედ ავალოვისა.
ქ. ზაქარია ავალოვი.
პავლე რჩეულოვი.
თ. დიმიტრი აბაშიძე.
მიხეილ ყაზიბეგი.
თ. ელისბარ ერისთავი.
თ. ივანე ამილახვარი.
198 თ. რევაზ ერისთავი.
თ. დავით მაჩაბელი.

დუშეთში:

200 თ. რევაზ ერისთავი.

ბორჩალოში:

201 თ. გიორგი მაჩაბელი.

(დასასრული.)

«ცისკარი» 1858 წლისა, გამოიცემა პირველს რიცხვს ყოველის თვისას, წიგნი და წიგნი, ხუთის ფურცლიდამ რვამდინ.

---

## ფასი ერთის წლის გამოცემისა:

ქ. ტფილისში, გაუგზავნელად ექვსი მანეთი თეთრი ფული.

შინ მიწოდებით ანუ სხვა ადგილებში გაგზავნით: შჳდი მანეთი თეთრი ფული.

---

## ჴელი მოსწერება:

ქ. ტფილისში, ქართულის ჟურნალის «ცისკრის» რედაქციაში, რომელიცა იმყოფება ჭუჯიას, უფ. დ. ბერიევის სახლში. —

---